ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 8 ივნისი, 2020 №123 (8387) ფასი: 60 თეთრი

კახა კვეკვესკირი კახა კალაძის წინააღმდეგ

გვ.5

გიორგი ახვლედიანი ნოდარ მელაძეს სასამართლოში უჩივლებს

„პოლიტიკურ საქმიანობას ისევ გავაგრძელებ“

მე 15 წელი ჟურნალისტი ვიყავი და ძალიან მწვავე დაპირისპირებაში ვიყავი წინა ხელისუფლებასთან, მასთან ერთ-ერთ რადიკალურად დაპირისპირებულ ტელევიზიაში ვმუშაობდი, მაგრამ, ვისთან ერთადაც მე ვმუშაობდი, აზრადაც კი არ მოუვიდოდა ვინმეს, რომ ფაქტი მოეგონებინა და იმ ფაქტზე გაეკეთებინა სკანდალი.

გვ.3

დიმიტრი ბიძინაშვილი: „კალაძე ცუდად დაამთავრებს!“

გვ.3

„არქი“ დიღომში ისე აშენებდა კორპუსებს, რომ ნებართვაც კი არ იყო გაცემული. ის ხომ კალაძის ძმაკაც წულაიასია“

გვ.2

რესპუბლიკელებმა, შესაძლოა, კენჭი ნაცმოძრაობის ბლოკით იყარონ

დავით ბერძენიშვილი: „ზღვარგადასული პრეტენზიები არ გვაქვს, მაგრამ ჩვენი ფასიც ვიცით“

გვ.2

თეა წულუკიანს მიწებს ჩუქნიან

რა ქონება აქვს „ოცნების“ უცვლელ მინისტრს

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილთან თანამშრომლობა მიუღებელია“

გვ.4

გვ.4

ზოთა მალაშხია: „ისეთი რეალობაა, რომ ოპოზიცია მომავალ არჩევნებს იგებს“

ISSN 1987-9385

5 რუსთავის მერის მოადგილე გოჩა ლორიას ცემისთვის ბექა თავაძე დააკავეს

5 ალექსანდრე ივანოვმა ვარკეთილში შვილებს ტყვიები დაუშინა

5 ფეისბუქში უნებართვოდ შეღწევით ა.ბ.-მ 25 მოქალაქეს 27.546 ლარი წაართვა

6 ბაიდენმა პრეზიდენტობაზე წარსადგენად საკმარისი ხმები დააგროვა

რესპუბლიკელებმა, შესაძლოა, კენჭი ნაცმოძრაობის ბლოკით იყარონ

დავით ბერძენიშვილი: „ზღვარგადასული პრეტენზიები არ გვაქვს, მაგრამ ჩვენი ფასიც ვიცით“

იაგო ნაცვლიშვილი

რესპუბლიკური პარტიის ლიდერი დავით ბერძენიშვილი ოპოზიციას მაჟორიტარული არჩევნების საკითხში თავის ფორმულას სთავაზობს — კოორდინაცია თბილისში და კონკურენცია რეგიონებში. მან დაასახელა კონკრეტული პარტიების კვოტებიც თბილისში.
რას ეფუძნება დავით ბერძენიშვილის ფორმულა და რა ფორმატით მიიღებენ რესპუბლიკელები არჩევნებში მონაწილეობას, ბლოკით თუ ცალკე სუბიექტად? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში დავით ბერძენიშვილი საუბრობს.

– მაჟორიტარების საერთო კანდიდატებზე წარმოადგინეთ თქვენი ფორმულა თბილისის ნაწილში. ამაზე სხვა ოპოზიციურ პარტიებთან გქონდათ კონსულტაციები ან ამის შემდეგ ხომ არ იცით მათი აზრი?

– ჩემი ფორმულა შეიძლება ჩამოყალიბდეს ასე – კოორდინაცია თბილისში, კონკურენცია რეგიონებში. ასე რომ, თბილისის 8 მაჟორიტარულ ოლქში მე შევთავაზე ხუთპარტიული რვიანი, ანუ მას შემდეგ, რაც ნაციონალებმა თქვეს, შემოვიფარგლებით ორი ოლქითო, დანარჩენებს შევთავაზე ეს ვერსია – ნაცმოძრაობის, „ევროპული საქართველოსა“ და „ლელოს“ 2-2 კანდიდატი, ასევე ალეკო ელისაშვილისა და შალვა ნათელაშვილის კანდიდატურები. ალეკოსა და შალვას პერსონალურად, როგორც მათი პარტიის ლიდერებს და არა როგორც პარტიების წარმომადგენლებს.

ამ ფორმულის შეთავაზებისას დავეყრდენი იმას, რაზეც მიმდინარეობდა აქამდე კონსულტაციები და პრაქტიკულად დრაფტი იყო გამზადებული, სადაც არავინ ეცილებოდა ნაციონალურ მოძრაობას 3 მაჟორიტარულ ოლქს, ასევე არავინ ეცილებოდა „ევროპულ საქართველოს“ 3 მაჟორიტარულ ოლქს, დანარჩენ 3 ადგილზე იყო სხვადასხვა ვერსია, მათ შორის როგორც ალეკო ელისაშვილის, ისე შალვა ნათელაშვილის ვერსია, არსებობდა ზურა ჯაფარიძის შესაძლო კანდიდატურა და ა.შ. მხოლოდ იმ გვარებს ვასახელებ, რომლებიც საჯაროდ არის გაჟღერებული.

– ამ კოორდინაციაში ყველა ის პარტიაა ჩართული, რომლებიც ისხედით ლეიბორისტების ოფისში? ან ფიქრობთ თუ არა, რომ ყველანი უნდა იყოთ ჩართული?

– არა. მაგალითად, ჩვენ ამ კონსულტაციებში მონაწილეობას არ ვაპირებთ, იმიტომ, რომ რესპუბლიკურ პარტიას თბილისში მაჟორიტარ კანდიდატზე პრეტენზია არ აქვს.

– მაგას არ ვგულისხმობ, პროცესში ჩართულობა მაქვს მხედველობაში.

– პროცესში, ჩემი აზრით, მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ იმ პარტიების წარმომადგენლები, რომლებსაც აქვთ პრეტენზია, ჰყავდეთ მაჟორიტარობის კანდიდატები ამ 6 ოლქში. ამიტომ, გარდა ჩემ მიერ ჩამოთვლილი ოლქებისა, ბუნებრივია, იქ იქნება... გიორგი ვაშაძემ თქვა, მეც მინდა მივიღო მონაწილეობა ამაშიო. არ ვიცი, ბურჯანაძე მიიღებს თუ არა მონაწილეობას, ცოტა ნაწყენი დამრჩა. საჯაროდ გამოთქვა მან ეს წყენა. იქნება კიდევ რამდენიმე პოლიტიკური ლიდერი, რომლებსაც ექნებათ პრეტენზია. ვისაც აქვს პრეტენზია თბილისზე, 6 პარტიაა, 7 თუ 9, ისინი შეიკრიბებიან და ერთმანეთში დაიწყებენ კონსულტაციებს.

– რატომ მაინცდამაინც მხოლოდ თბილისი და არა დიდი ქალაქებიც? რას ემყარება თქვენი ეს ფორმულა?

– ვაანალიზებ ვითარებას. ჯერ ერთი, აქამდე თბილისზე იყო საუბარი და მონაწილე პარტიებიც თბილისზე შეთანხმების დრაფტს ადგენდნენ, რეგიონებზე კი შემდგომ ფიქრობდნენ. ამიტომ, რადგან თბილისი არის უახლოესი ამოცანა, შესაბამისად, მეც თბილისზე შევთავაზე ჩემი ვერსია. ამასთანავე, ჩემი შეთავაზება თბილისში კოორდინაციაზე არის შემადგენელი ნაწილი ჩემი ფართო ფორმულისა – თბილისში კოორდინაცია და რეგიონებში კონკურენცია. ამას ასე დავარქმევდი – ერთიანობა მრავალფეროვნებაშია, მრავალფეროვნება ერთიანობაშია.

ამოცანად გვაქვს ხელისუფლების დამარცხება. მე ვარ მეორე ტურის სტრატეგიის მომხრე და იდეოლოგი ამ კონკრეტული კამათის დროს. მას შემდეგ, რაც „ლელომ“ თქვა, რომ ყველგან დააყენებს მაჟორიტარებს, ალეკო ელისაშვილმა თქვა, რომ დააყენებს, ჭიჭინაძემ თქვა, რომ ნაცსაც მოუგებს და ქოცსაც და, როცა საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ არასახელისუფლებო კანდიდატების ცვენა იქნება, ოპოზიციური, დამოუკიდებელი თუ ფსევდოოპოზიციურის, გამოჩნდა სურათი, რომ თითო ოლქში 7-8 ან მეტი კანდიდატი იქნება. ასე იყო ადრე და ასე იქნება ახლაც. სტატისტიკა ულმობელი რამ არის. ამიტომ პირველ ადგილზე გასვლის შანსები თბილისში კოორდინაციის შემთხვევაში არის მაღალი. შესაძლოა, რომელიმე პირველ ადგილზე გასულმა პირველი ტურიც კი მოიგოს, მაგრამ ოლქების უმრავლესობაში იქნება მეორე ტურები.

90-იანი წლებიდან მოყოლებული, სახელისუფლებო და მთავარი ოპოზიციური კანდიდატების ჯამი არის დაახლოებით 75%. გამონაკლისი იყო 2012 წელი, მაგრამ ახლა პოლარიზაციის იმ ხარისხში არ ვართ, მით უმეტეს, რომ „ლელო“, ალეკო ელისაშვილი და სხვები იქნებიან და, აი, ეს სხვები ჯამურად აიღებენ 20-22%-ს, ზოგან, შესაძლოა, 30%-ც კი აიღონ. ამიტომ არის მეორე ტურის სტრატეგია, მაგრამ, რადგანაც თბილისში გვსურს ოპოზიციური კანდიდატების სინერგია, ამიტომ ეს კოორდინაცია იქნებოდა მომგებიანი.

რატომ შევარჩიე ეს კანდიდატები? ნაციონალებს 3 უნდოდათ და 1 გამოათავისუფლეს, „ევროპულ საქართველოს“ უნდოდა 2 და ეს ორი დავტოვე. ორი ოლქი შევთავაზე „ლელოს“ წამყვან კონკურენტუნარიან კანდიდატებს. ელისაშვილის კანდიდატურა ისედაც ფიგურირებდა და მეც დავტოვე, იმიტომ, რომ ის არის კონკურენტუნარიანი. თუ ელისაშვილი იქნება კანდიდატი და იქნებიან „ლელოს“, „ევროპული საქართველოსა“ და ნაცმოძრაობის კანდიდატები, მაშინ ელისაშვილის მოგების ალბათობა მნიშვნელოვნად მცირდება. მან მერის არჩევნებში აჩვენა 20%, რაც მნიშვნელოვანი შედეგია, მაგრამ, გავითვალისწინოთ, რომ ნაციონალური მოძრაობა, ფაქტობრივად, 3 კანდიდატით გამოდიოდა – ზაალ უდუმაშვილი, ელენე ხოშტარია და გიორგი ვაშაძე. ეს უკანასკნელი ორი სულ ახალი წასული იყვნენ ნაცმოძრაობიდან და ჯამში 30% აიღეს.

– ახსენეთ ბურჯანაძე. თქვენ პრობლემას ვერ ხედავთ თუ ისინიც დააყენებენ კანდიდატურებს ცალკე?

– დარწმუნებული ვარ, რომ არა მარტო მე არ მომიწევს მძიმე არჩევანის გაკეთება მეორე ტურში „ქართული ოცნებისა“ და ბურჯანაძის პარტიის კანდიდატებს შორის, არამედ – არც ერთ ჩვენს თანამოაზრეს. მე არ ველოდები, ბურჯანაძის რომელიმე კანდიდატი გავიდეს მეორე ტურში, იმიტომ, რომ ელექტორალური მაჩვენებლები ამის საშუალებას არ იძლევა.

– კვლევებზე დაყრდნობით ამბობთ ამას?

– კვლევებზეც ვამბობ და საარჩევნო შედეგებზე დაყრდნობითაც, 2018-შიც, 2017-შიც, 2016-შიც და 2014-შიც. ამიტომ ის ვერ იღებს საკმარის ხმებს, მას ვერ ეყოლება ისეთი კანდიდატი, რომელიც აიღებს 30-35%-ს.

– მან თქვა, საერთოდ შეიძლება არც დავაყენო, მაგრამ ჩემთვის მთავარი სხვა რამეაო...

– რა თქმა უნდა, ასეც იტყვის, მით უმეტეს, რომ თვითონ არც აპირებს კენჭისყრას, რაც კიდევ უფრო ამცირებს ბურჯანაძის პარტიის კანდიდატის კონკურენტუნარიანობას თბილისის რვიანში.

– თქვენ თუ აპირებთ მაჟორიტარად კენჭისყრას? ბათუმში ხომ არ უნდა ველოდოთ, რომ კანდიდატურას დააყენებთ?

– არა, არ ვაპირებ. მაჟორიტარობას საერთოდ არ ვაპირებ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ 4/5 სიით ირჩევა, მეტწილად სიაზეა დამოკიდებული და პროპორციულ სიაზეა ორიენტირებული რესპუბლიკური პარტია. მეორე, სამწუხაროდ, რესპუბლიკური პარტიის ანგარიში სუფთაა, მათ შორის პირდაპირი მნიშვნელობითაც და მაჟორიტარობისთვის მზად არ ვართ. მხოლოდ ერთადერთ თეორიულ დაშვებას დავტოვებდი, რომ რომელიმე რესპუბლიკელმა თბილისს გარეთ იყაროს კენჭი. ეს მოხდება მაშინ, თუ ოპოზიცია ჩაატარებს კვლევას და ის აჩვენებს, რომ ამა თუ იმ ოლქში უფრო პერსპექტიულია რესპუბლიკელი კანდიდატის დაყენება, ვიდრე სხვა პარტიის წევრისა. ასეთი შესაძლებლობა არსებობს, მაგრამ ჩვენ არ მივიღეთვი ამისკენ.

ეს გამახსენდა იმიტომ, რომ 2012 წელს ასე ჩატარდა გამოკვლევები, ვინ აჯობებდა კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატად და, ბევრისთვის მოულოდნელად, რესპუბლიკელებმა გავიმარჯვეთ.

– თუმცა ახლახან ლევან ბერძენიშვილმა გვითხრა ინტერვიუში, აღარ გაითვალისწინეს ამ კვლევების შედეგებიო...

– არ გაითვალისწინეს, იმიტომ, რომ მეტისმეტად ბევრნი აღმოვჩნდით. ეს იყო იაგო კაჭკაჭიშვილის ორგანიზაციის კვლევა და მის მიუკერძოებლობასა და კვალიფიკაციაში ეჭვი არ შეგვიტანია. ბიძინამ კი შეიტანა ეჭვი, მაგრამ, მხოლოდ იმიტომ, რომ შედეგებმა გააღიზიანა. ფინანსური შესაძლებლობები არც მაშინ ჰქონია რესპუბლიკურ პარტიას, თუმცა ხუთმა რესპუბლიკელმა მოიგო ოლქი და მისი ფინანსური უზრუნველყოფა მოხდა კოალიციის ფინანსებიდან და არა „რესპუბლიკელების“.

– პარტიულ ნაწილზეც უნდა გკითხოთ. თქვენ გადაწყვეტილი გაქვთ, რომ დამოუკიდებლად გამოხვალთ?

– არა. ახლა ძალიან კომფორტული ვითარება შეიქმნება და, იმედი მაქვს, ეს ცვლილებები გავა. ივლისის პირველ ნახევარში საბოლოო გადაწყვეტილებას ჩვენც მივიღებთ და სხვებიც.

– ცოტა ხნის წინ თინა ბოკუჩავამ გვითხრა, რომ სხვადასხვა პარტიასთან აქვთ კონსულტაციები მათი ბლოკის გაფართოების თემაზე. ცოტა ხნის შემდეგ სოციალურ ქსელში თქვენი პარტიის ნარინჯისფერი ლოგო გამოაქვეყნეთ და აღნიშნეთ, არ ეშინია გაწითლებისო. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ნაცმოძრაობასთან მოლაპარაკებები გაქვთ, რათა მათი ბლოკით გახვიდეთ არჩევნებზე?

– ჩვენ ამას არ გამოვრიცხავთ, ისევე, როგორც არ გამოვრიცხავთ დამოუკიდებლად კენჭისყრას. რადგან 1%-იანი ბარიერი იქნება და, იმედია, იქნება, რესპუბლიკელებს ყველაზე ცუდი შედეგის პირობებშიც კი 1-2 მანდატი გარანტირებული გვაქვს, ცოტა უკეთესი შედეგი თუ იქნება, მეტი მანდატიც იქნება. ასე რომ, რამდენიმე მანდატისთვის ცალკეც შეგვიძლია, მშვიდად ვიბრძოლოთ. მაგრამ, ჩვეულებრივ, რესპუბლიკელებს აქვთ სინერგიის ეფექტი, ამიტომ წამყვან ოპოზიციურ გაერთიანებაში დიდი ენერგია მიგვაქვს. ასე იყო 1994 წელს, 2003 წელს, 2012 წელს. იქნება თუ არა ასე 2020-შიც, ამას არც გამოვრიცხავ და ჯერ ვერც დავადასტურებ, იმიტომ, რომ ორი მხარე აქვს.

– მაგრამ ამ თემაზე ნაციონალურ მოძრაობასთან კონსულტაციებს ადასტურებთ?

– არ დავარქმევდი ამას კონსულტაციებს, მაგრამ აზრთა გაცვლა-გამოცვლა არის. შეგვიძლია, გავიდეთ ცალკეც, სადაც ავიღებთ რამდენიმე მანდატს. შეგვიძლია, ვიყოთ დიდ ოპოზიციურ გაერთიანებაში, სადაც სინერგიის ფაქტორი გვაქვს და ჩვენთვისაც მომგებიანი იქნება, რადგან მეტი მანდატი გვექნება და, შესაძლოა, ნაციონალური მოძრაობისთვისაც ეს იყოს მომგებიანი, იმიტომ, რომ რესპუბლიკელებს მეტი შეაქვთ ბლოკში სინერგიის სახით, ვიდრე იქიდან მანდატების სახით გამოაქვთ, ამიტომ გზა ღიაა და ივლისში მივიღებთ გადაწყვეტილებას. აქამდე ასე იყო, რომ რესპუბლიკელების გარეშე ოპოზიციური გაერთიანებები ვერ იგებდნენ. ჩვენ არ გვექნება ზღვარგადასული პრეტენზიები, მაგრამ ჩვენი ფასიც ვიცით.

ჩვენ ძალიან კომფორტული ურთიერთობა გვაქვს არა მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობასთან, არამედ „ევროპულ საქართველოსთანაც“. ბოლო ხანებში, როდესაც ცოტა დაიძაბა მათ შორის ურთიერთობა, საჯაროდაც ვთქვი, რომ ეს ხალხი არ მომწონდა, როცა ხელისუფლებაში იყვნენ, მაგრამ ოპოზიციაში ერთიც და მეორე პარტიაც უკეთესები არიან. მგონია, რომ ისინი ცუდად გაყრილ ოჯახის წევრებს ჰგვანან. ხანდახან მათ შორის ურთიერთობა ასე ჩანს. ამ ბოლო ხანებში, ეტყობა, „ევროპულმა საქართველომ“ არ დაიჯერა, რომ ნაციონალური მოძრაობა თბილისში პირობებს დაიცავდა. მე ამას დავარქვი უკან მიდევნებული ლამპარი, მძიმე ბრიფინგი რომ ჩაატარეს და ნაცმოძრაობა საჯაროდ გაფრთხილეს, ანუ საჯარო განცხადებით თავი დაიზღვიეს. მე ვიხუმრე, რომ მათი აგენტურა ნაცმოძრაობაში არ აღმოჩნდა სანდო ან კვალიფიციური.

– თეორიულად „ევროპული საქართველოს“ ბლოკშიც ხომ არ არის შესაძლებელი, რომ გიხილოთ?

– თეორიულად ყველაფერი შეიძლება, მაგრამ ახლა უშუალოდ ეს პროცესი არ მიმდინარეობს. „ევროპულ საქართველოს“ პარტნიორობის საკითხი გადასაწყვეტი აქვს თავისუფალ დემოკრატებთან. ახლოს არიან ისინი ერთმანეთთან, თუმცა ვნახე მათი განცხადება, რომ მათაც საბოლოოდ გადაწყვეტილი არ აქვთ.

თეა წულუკიანს მიწებს ჩუქნიან

რა ქონება აქვს „ოცნების“ უცვლელ მინისტრს

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან – 2012 წლიდან დღემდე, მთავრობის შემადგენლობა რამდენიმეჯერ შეიცვალა.

ახლაც, მომავალი საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, რომელიც შემოდგომაზე უნდა გაიმართოს, მედიაში უკვე ვრცელდება სხვადასხვა ინფორმაცია, თუ ვინ შეიძლება მოხვდეს „ოცნების“ საარჩევნო სიაში და ვინ სად გადაანაწილონ.

მათ შორის, საუბარია იმაზეც, რომ გახარიამ, შესაძლოა, პრემიერის პოსტი დატოვოს და „ქართული ოცნების“ სიის პირველი ნომერი იყოს. თუმცა, ერთ-ერთი ვერსიით, სიის სათავეში, შესაძლოა, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანიც ვიხილოთ. ამასთან, გავრცელებული ინფორმაციით, ამ უკანასკნელმა მმართველი ძალის კვლავ გამარჯვების შემთხვევაში, შესაძლოა, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიც დაიკავოს.

ცნობილია, რომ წულუკიანი ერთადერთი მინისტრია, რომელიც მთავრობაში თანამდებობას 2012 წლიდან მოყოლებული ინარჩუნებს და ბიძინა ივანიშვილის განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობს.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, თუ რა ქონებას ფლობს „ოცნების“ უცვლელი მინისტრი.

2020 წლის 31 იანვარს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, წულუკიანი ფლობს 6.000 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთს მესტიაში, სოფელ ზემო ლუჰაში, რომელიც 2017 წელს საჩუქრად მიიღო; 900 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთს სოფელ დიღომში; 1.000 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთს სოფელ დიღომში; სოფელ დიღომში მდებარე 330,22 კვ. მეტრი ფართობის საცხოვრებელ სახლსა და ამავე მისამართზე მდებარე 40,93 კვ. მეტრის ავტოფარეხს. აქედან, ნასყიდობით მინისტრს მხოლოდ დიღომში 1.000 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი აქვს 2013 წელს შეძენილი.

რაც შეეხება მის ფინანსურ მდგომარეობას, დეკლარაციის შევსების მომენტში წულუკიანს სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე – 9.966 ლარი; 3.173 ევრო ჰქონდა. მისმა 2019 წლის ხელფასმა მინისტრის პოსტზე 60.000 ლარი შეადგინა. ამასთან, როგორც დეკლარაციაშია აღნიშნული, მინისტრს გასულ წელს პრემია არ აუღია. მის სახელზე ორი სამომხმარებლო სესხი ფიქსირდება, მასვე აქვს ანაბარი, რომელზეც უცხოეთში ბინის გაყიდვით მიღებული თანხა – 22.0480 ევროა დარიცხული.

რაც შეეხება ოჯახს, დეკლარაციის მიხედვით, თეა წულუკიანის მეუღლე ფლობს 50.009 კვ. მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთს ახალქალაქში, სოფელ დილისკაში; მასვე ეკუთვნის მსუბუქი ავტომობილი აუდი. მასვე დეკლარაციის შევსების მომენტში საბანკო ანგარიშზე – 2.725 ლარი ჰქონდა. მისმა შემოსავალმა კი 2019 წლის ივლისი-დეკემბრის პერიოდში მთავრობის ადმინისტრაციაში რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის პოზიციაზე 27.559 ლარი შეადგინა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დიმიტრი ბიძინაშვილი: „კალაძე ცუდად დაამთავრებს!“

„არქი“ დიღომში ისე აშენებდა კორპუსებს, რომ ნებართვაც კი არ იყო გაცემული. ის ხომ კალაძის ძმაკაც წულაიასია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს სამოქალაქო აქტივისტი დიმიტრი ბიძინაშვილი პასუხობს.

– დიმიტრი, როგორც ცნობილია, თქვენი მოძრაობა 20 ივნისის აქციისთვის ემზადება. პანდემიის პირობებში რამდენად მოგეცემათ აქციის ჩატარების საშუალება და უფრო კონკრეტულად რა იგეგმება?

– 20 ივნისს დაგეგმილია გარკვეული სახის აქციები. დაიგეგმება სხვადასხვა პერფორმანსიც.

– მრავალრიცხოვანი აქცია არ იგეგმება?

– მაგაზე მოლაპარაკება და მსჯელობა მიმდინერეობს. თუმცა, აქცია რომ იქნება, ფაქტია. რა სახის აქცია იქნება, სულ მალე გადაწყდება ეს ყველაფერი. 20 ივნისს რომ ჩატარდება და აუცილებლად გავიხსენებთ თვალების დათხრასა და ხალხის დარბევას, ეს ორჯერ ორი ოთხია.

– აქციების ახალი ტალღის აგორება იგეგმებაო. ასეა?

– რაც ეს პანდემია დამთავრდა, აქციებიც ნელ-ნელა ჩვეულ რიტმს უბრუნდება. ძალიან ბევრი საპროტესტო თემა დააგროვა „ქართულმა ოცნებამ“ და აქციები აუცილებლად იქნება იმის აღმოსაფხვრელად, რასაც ჩადის „ქართული ოცნება“. უამრავი თემაა დაგროვილი. მაშინ, როდესაც ხალხი გამოკეტეს სახლებში, უამრავი დარღვევა იყო „ქართული ოცნების“ მხრიდან.

– კერძოდ?

– უამრავი სქემა. იყო პირბადეების პრობლემა, კორუფციული სქემა იყო უამრავი. ჩვენ ვნახეთ საკრებულოს დეპუტატის სიდედრზე გაფორმებული თბილისის ქონება და ასე შემდეგ. ეს ხალხი, თბილისისა და თბილისის მოსახლეობის გარდა, ყველაფერზე ზრუნავდა, პირველ რიგში კი – საკუთარი ქონების გაზრდაზე. ამიტომ ეს საპროტესტო მუხტი არის დაგროვილი და ამ ყველაფერს აუცილებლად მოჰყვება რეაგირება.

– გახარიამ განაცხადა, ამ 20 ივნისსაც ჩემთან ერთად შეხვდებითო. აქტიურად საუბრობდნენ მისი გადადგომის შესახებ, თუმცა ამ ეტაპზე არ გამართლდა.

– გახარია ხომ არ არის ის ფიგურა, რომ თავისით წყვეტდეს ამ საკითხს. ყველაფერს წყვეტს ბიძინა ივანიშვილი. ბიძინა ივანიშვილი როცა გადაწყვეტს, რომ ის უნდა წავიდეს, წავა, როცა გადაწყვეტს, რომ უნდა დარჩეს, დარჩება. ფორმალური მმართველი, ბიძინა ივანიშვილია და არა გახარია. გახარია საერთოდ არაფერს წყვეტს. ეს ჩვენ უკვე ბევრჯერ ვნახეთ. ელოდებიან, ბიძინა ივანიშვილს რას გადაწყვეტს და ისე მოიქცევიან.

– ალბათ, წინასაარჩევნოდ არც გაუშვებს.

– ორივე მხრივ წაგებულია ივანიშვილი. გაუშვებს, პრობლემაა, იმიტომ, რომ მთელი პანდემიის პირობებში იძახის, რომ იგი თურმე კარგი კრიზისმენეჯერია, არ გაუშვებს და ეყოლება პრემიერ-მინისტრი, რომელმაც ადამიანებს დასთხარა თვალები. თავის გადასაწყვეტია, რაზე ააგებს მის პიარკამპანიას. „ქართული ოცნების“ წინა კამპანიები აგებული იყო არა იმაზე, თუ რა გააკეთეს, არამედ იმაზე, ჩვენ რომ წავალთ, სხვა მოვა, ისეთი, ვინც არ გინდათ და ასე შემდეგ. მაგრამ ეს აღარ იმუშავებს, იმიტომ, რომ ხალხმა ძალიან კარგად დაინახა, ერთპიროვნულ მმართველობას რა მოაქვს და ამ პარლამენტში ეს არავითარ შემთხვევაში არ იქნება. მრავალპარტიული პარლამენტი იქნება, რომელიც გადაიბარებს ხელისუფლებას ოქტომბრის არჩევნებზე.

– ეკონომიკური გეგმა და სოციალური პაკეტიც ჩააგდო გახარიამო...

– რა თქმა უნდა, ჩააგდო. თქვეს, რომ დაახლოებით 500 ათას ადამიანს დახმარებოდნენ და აღმოჩნდა, რომ ამ 500 ათას ადამიანსაც კი არ ეხმარებიან. ეხმარებიან მხოლოდ იმათ, ვინც მათი პარტიული აქტივისტია. ეს კარგად გამოჩნდა. დღეს 850 ათასი თვითდასაქმებული გვყავს და გახარიამ თავშივე გვითხრა, რომ ამ 850 ათასი თვითდასაქმებულიდან დახმარება მხოლოდ 200 ათასს მიეცემა, იმიტომ, რომ 75 მილიონი იყო გამოყოფილი ერთჯერადად 300 ლარზე. ის 9 მილიარდი, რომელიც ამ პანდემიის დროს იშოვეს, ნამდვილად არ გადანაწილებულა ხალხზე. გადანაწილდა ისევ ხელისუფლების კეთილდღეობაზე.

– ძალიან ბევრი თემა დაგროვდა საპროტესტოო. ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ არჩევნებამდე ამ საპროტესტო მუხტით მივიდეს საზოგადოება?

– არაფერს გამოვრიცხავ, იქიდან გამომდინარე, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უბრალოდ, შია ხალხს, ლუკმაპურის გარეშე დატოვეს. სამი თვე ხალხი გამოკეტეს და ლარით არ დაეხმარნენ. უმძიმეს სიტუაციაშია ხალხი. მათ დახმარება სჭირდებათ, რომ თავი გადაირჩინონ, ხელისუფლებისგან კი არ გვესმის, რომ დახმარებას აპირებენ. სიტყვიერადაც კი არ ეხმარებიან გაჭირვებულ ხალხს. ხალხი ამ ყოფას აუცილებლად გააპროტესტებს. ამიტომ ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ პროტესტის ფონზე ჩაიაროს მათ შორის არჩევნებმაც. სხვა გზას არ უტოვებენ ქართველ ხალხს.

– რას იტყვი ანას ბაღის გახსნისას მომხდარ ინციდენტზე? კალაძისგან ვისმენთ, რომ ნაციონალებმა საკუთარი აქტივისტები მიუგზავნეს პროვოკაციისთვის, რათა ეს ღონისძიება ნეგატივით გადაეფარათ. ასე იყო? რა მოხდა რეალურად?

– რეალურად მოხდა ის, რომ ჩვენ იქ მივედით კითხვების დასასმელად. კახი კალაძეს ვეკითხებოდით სხვადასხვა დაგვიანებული პროექტის შესახებ. მათ შორის ვუთხარით ისიც, რომ ძალიან კარგი იყო ამ სკვერის გახსნა, ძალიან კარგი იყო ახალი ხეების დარგვა, მაგრამ ძალიან ცუდია ამის ფონზე, რომ დიღმის ჭალებში ის მარხავს ტყეს. სწორედ ამან გააღიზიანა, რადგან ფაქტია, რომ დიღმის ჭალებში მას აქვს თავისი საკუთარი ინტერესი. ეს კიდევ ერთხელ გამოავლინა, იქიდან გამომდინარე, რომ პასუხი არ გაუცია და, როცა ვახსენეთ დიღმის ჭალები, უბრალოდ, კახი კალაძე აფეთქდა, თავი დაკარგა და გადავიდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე, რაც მისი ჩვეული სტილია.

– თავიდან ისე გაშუქდა, რომ თითქოს ადგილობრივ მოსახლეობასთან მოუვიდა დაპირისპირება, თუმცა მერე გაირკვა, რომ ისინი იყვნენ ნაცმოძრაობის აქტივისტები.

– აქტივისტების ნაწილი მართლა იქ ცხოვრობს. ვარკეთილელები არიან ეს ადამიანები. მათაც ჰქონდათ კითხვები კალაძესთან. რა კითხვა აღარ უნდა დაუსვან, როცა კალაძე ყელამდეა კორუფციაში ჩაფლული?!

– კორუფცია ახსენეთ და გამოდის ასეთი ინფორმაციები, რომ კახი კალაძის წინააღმდეგ პროკურატურაში ტომებით დევს საქმეები.

– კი, ნამდვილად ასეა. ასევე გამოდის ინფორმაცია, რომ კალაძის მოადგილე, ხმალაძე, რომელიც დაკარგულია და საერთოდ აღარ იძებნება, უკვე დასაჭერად იყო გამზადებული, უბრალოდ, კალაძის თხოვნა გაითვალისწინეს და არ დაიჭირეს. წარმოუდგენელი ამბავი იქნებოდა, რომ მერის მოადგილე დაეჭირათ კორუფციის ბრალდებით და თავად მერს არაფერი სცოდნოდა ამის შესახებ. რაღაცნაირად გამოგლიჯა კახი კალაძემ თავისი მოადგილე. თავად კახი კალაძეზე არა მარტო პროკურატურაში, არამედ სუსშიც მიმდინარეობს გამოძიება. ჩვენ გვახსოვს, რომ თავის ძმაკაცს ერთ ლარად გადასცა 16 მილიონი ლარის ქონება. ეს არის კორუფციული სქემა და სწორედ ამიტომ მიმდინარეობს სუსში გამოძიება, რასაც მალავდნენ, თუმცა მაინც მოუწიათ იმის დადასტურება, რომ ამ საქმეზე გამოკითხული არიან ადამიანები და ეს უბრალოდ ჭორი არ არის!

– ანუ, შესაძლოა, როცა დასჭირდებათ, მაშინ დააკავონ კალაძე?

– კალაძე იმდენ და ისეთ კორუფციულ სქემაშია გახვეული, რომ მისი დაკავება ყველაზე ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს. თითოეული პროექტი, რომელსაც ის ახორციელებს თბილისში, არის კორუფციული გზებით. ჭავჭავაძის გამზირი 2019 წლის ივნისში უნდა გახსნილიყო, მერე კალაძემ ითხოვა, გადატვირთულია მოძრაობა და სექტემბრამდე გადაიწევსო. სექტემბერი კი არა, ჩვენ ვხედავთ, რომ კიდევ გადათხრილია ჭავჭავაძე. ეს კომპანია კალაძესთან რომ არ იყოს დაკავშირებული და მისი კამპანიის პირდაპირი დამფინანსებელი რომ არ იყოს, როგორ წარმოგიდგენიათ, მას არ მოსთხოვდნენ პასუხს?! რა თქმა უნდა, მოსთხოვდნენ. იგივე ხდება გლდანში, ხიზანიშვილისა და ვეკუას ქუჩებზე, ასევე კიკვიძის ბაღი, რომელიც გასული წლის ნოემბერში უნდა დასრულებულიყო და ჯერაც არ დასრულებულა. რომელი ერთი ჩამოვთვალო.

– ბევრი კომპრომატია მის წინააღმდეგ?

– რა თქმა უნდა. თუნდაც „არქის“ მიერ აშენებული ერთი კორპუსიც კი კორუფციულ სქემას უკავშირდება. „არქი“ დიღომში ისე აშენებდა კორპუსებს, რომ ნებართვაც კი არ იყო გაცემული. ის ხომ მისი ძმაკაცის წულაიასია. კალაძე ცუდად დაასრულებს, ძალიან ცუდად. კალაძე საკრებულოსაც აღარ ეკითხება, თავის ძმაკაცებს ისე აშენებინებს კორპუსებს. თბილისის საკრებულოც ხომ კალაძის ნოტარიუსია. კალაძეს ძალიან ბევრ რამეზე მოუწევს პასუხის გაცემა. მას თავისუფლად მოქმედების საშუალება ნამდვილად არ მიეცემა. ის ყურებით უჭირავს ივანიშვილს და, როცა მოუნდება, მაშინ დაიჭერს. პროკურატურასა და სუსში მასზე უამრავი საქმეა აღძრული.

გიორგი ახვლედიანი ნოდარ მელაძეს სასამართლოში უჩივლებს

იაგო ნაცვლიშვილი

„პოლიტიკურ საქმიანობას ისევ გავაგრძელებ“

გიორგი ახვლედიანმა ნინო ბურჯანაძის პარტია დატოვა. მიზეზი „ტვ პირველის“ ეთერში გასული სიუჟეტი გახდა, რომლის მიხედვითაც, ის ფულს „ქართული ოცნებისგან“ იღებდა და იმ ექსპერტებს შორის იყო მოხსენიებული, რომლებიც მმართველი გუნდის „გაპრავებით“ იყვნენ დაკავებული. ყოფილი ჟურნალისტი სიუჟეტს ფეიქნიუსს უწოდებს და ტელევიზიის ამ გადაცემას უპირისპირდება.
რატომ მიიღო პარტიიდან წასვლის გადაწყვეტილება, თუ სიუჟეტი რეალობას არ შეესაბამებოდა, ეცდება თუ არა სიმართლის დამტკიცებას სასამართლოს გზით, ტოვებს თუ არა პოლიტიკას და ხომ არ აპირებს ჟურნალისტიკაში დაბრუნებას? — ამ და სხვა საკითხებზე გიორგი ახვლედიანი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.

– ამბობთ, რომ სიუჟეტი არ შეესაბამება რეალობას, მაგრამ, ამავე დროს, მიიღეთ გადაწყვეტილება და დატოვეთ პარტია. მაშინ რატომ მიიღეთ ასეთი მძიმე გადაწყვეტილება?

– ტყუილიც არ არის ეს. ტყუილი ისეთი მაინც ხომ უნდა იყოს, რომ დამაჯერებელი იყოს? მე რომ დამაბრალონ, „ოცნების“ ექსპერტიაო, ცხოვრებაში ერთხელ მაინც ხომ უნდა მქონდეს „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ განცხადება გაკეთებული? ეს იყო წარმოუდგენელი ფეიქნიუსი.

ჩემს გადაწყვეტილებას რაც შეეხება, ეს იმიტომ მივიღე, რომ ამ სიბინძურის მთავარი სამიზნე მე არ ვყოფილვარ. მთავარი სამიზნე პარტია იყო. დაგაბრალებენ ბუნებაში არარსებულ სისულელეს და თავი უნდა იმართლო, თუ არ იმართლებ, ვიღაცას შეიძლება გაუჩნდეს განცდა, რომ თავის სამართლებელი არ აქვს და ვერაფერს ამბობს. თუ თავს იმართლებ, თავისმართლების მდგომარეობაში ხარ. დარწმუნებული ვარ, ეს პარტიისკენ იყო მიმართული, რათა პარტია მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ვიღაცისგან წამოძახებული ბრალდების ქვეშ ყოფილიყო. იმის ნაცვლად, რომ პარტიას წინასაარჩევნო კამპანია ეწარმოებინა, ყოველ ჯერზე უნდა ემტკიცებინა, რომ ეს სისულელეა.

– თუმცა მე ასეთი განცხადებებიც მოვისმინე, იმიტომ წავიდა, რომ სიმართლეა და ამით გამოჩნდაო. ამ პროცესში პარტიის როლიც იყო ხაზგასმული. ამაზე რა პასუხი გაქვთ?

– ეს შეიძლება ამ სისულელის ავტორებს მოეგონებინათ.

– ოპოზიციის ერთ-ერთმა აქტორმა თაკო ჩარკვიანმა გააკეთა ასეთი განცხადება.

– ძალიან გთხოვთ, ამაზე კომენტარს ნუ გამაკეთებინებთ. მის გამონათქვამებზე კომენტარებს ვერ გავაკეთებ.

მე ისეთ პარტიაში ვარ, რომლის თავზეც რას აღარ გადაუვლია და რა ბრალდება აღარ გაუვრცელებიათ მის წინააღმდეგ, ბუნებრივია, არავინ დაიჯერა ეს თემა, მაგრამ ამას გამოიყენებს არაკეთილმოსურნე კონკურენტი. ბევრი ვიფიქრე ამაზე და დავინახე, რომ სხვა არჩევანი არ არსებობდა.

– რამდენიმე დღის წინ უარყოფდით პარტიიდან წასვლას და რა შეიცვალა 2-3 დღეში?

– ვფიქრობდი ამაზე და „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტს ბოდიშიც მოვუხადე, რომ მაშინ ვერ დავუდასტურე ეს ინფორმაცია, იმიტომ, რომ არ ვიყავი ჩამოყალიბებული კონკრეტულ პასუხზე. ჩამოყალიბების, კარგად გაანალიზებისა და პარტიასთან შეთანხმების გარეშე პასუხს ვერ გავცემდი.

– დამოუკიდებლად მიიღეთ ეს გადაწყვეტილება თუ პარტიაში განიხილეთ და იქ გადაწყვიტეთ ერთობლივად?

– აბსოლუტურად დამოუკიდებლად მივიღე გადაწყვეტილება, მაგრამ პირდაპირ ჟურნალისტებთან კი არ გავიქეცი, არამედ მივედი პარტიაში და გავაცანი პარტიის ხელმძღვანელობას.

– რა რეაქცია ჰქონდა ამაზე პარტიის ლიდერ ნინო ბურჯანაძეს?

– მისი რეაქცია ერთმნიშვნელოვანი იყო. მან ძალიან კარგად იცის, რომ გასულ სიუჟეტს რეალობასთან კავშირი არ ჰქონია და ტალახის სროლა იყო. პირიქით, მადლობელია იმის გამო, რომ ვცდილობ, ეს ყველაფერი პარტიისათვის პრობლემა არ გახდეს. ჩემი არგუმენტები საკმაოდ ძლიერი იყო და ჩავთვალე, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობდა და პარტიაც დაეთანხმა ჩემს ამ გადაწყვეტილებას.

– ახლა, როდესაც პოლიტიკიდან წახვედით, ხომ არ აპირებთ საჩივრის შეტანას სიუჟეტის ავტორების წინააღმდეგ?

– პირველ რიგში, გეტყვით იმას, რომ პოლიტიკიდან არ წავსულვარ. პარტიულ პოლიტიკას ვაჩერებ. ერთი პარტიიდან ვერ წავალ და ეგრევე სხვაში ვერ გადავხტები. ამით გამოვა, რომ სხვა პარტიაში გადასვლის მიზნით წამოვედი.

– ეს იმგვარად უნდა გავიგოთ, რომ არჩევნების შემდეგ დაბრუნდებით პარტიაში?

– პოლიტიკური აქტიურობა არ დამიმთავრებია. ახლა არ არის იმის წინაპირობა, არჩევნების შემდგომ პერიოდზე ვილაპარაკო, მაგრამ ჩემი შინაგანი რწმენა მაქვს, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამის გაკეთება შემიძლია. პარტიულ აქტიურობას ვაჩერებ, მაგრამ პოლი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ბათუმში მუშა დაიღუპა

გუშინ, 7 ივნისს, ბათუმში მუშა დაიღუპა. ის ახალი ბულვარის ტერიტორიაზე ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩაზე ერთ-ერთი მშენებარე კორპუსიდან გადმოვარდა.

სასწრაფო დახმარების ბრიგადას მუშა ადგილზე გარდაცვლილი დახვდა.

შსს-ს ინფორმაციით, ფაქტზე დაწყებულია გამოძიება 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სამშენებლო უსაფრთხოების ნორმების დარღვევას გულისხმობს.

ბათუმის მერიაში აცხადებენ, რომ კომპანია, უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის მუნიციპალურმა ინსპექციამ იანვარში 30.000 ლარით დააჯარიმა.

შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

შოთა მალაშხია: „ისეთი რეალობაა, რომ ოპოზიცია მომავალ არჩევნებს იგებს“

მარიამ მჭედლიშვილი

რას მოასწავებს თბილისში შესაძლო შეთანხმება ოპოზიციურ კანდიდატებზე? რატომ არ არის ამ ეტაპზე შეუთანხმებლობა კატასტროფა? რა ტენდენცია გამოიკვეთა საპრეზიდენტო არჩევნების დროს? რატომ არის „ქართული ოცნების“ მდგომარეობა წამგებიანი? რა დასკვნა გამოიტანა დასავლეთმა საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებაზე? — ამ და სხვა თემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატ შოთა მალაშხიას.

– ერთიანი ნაციონალური მოძრაობა თბილისის 8 საარჩევნო ოლქიდან თავის კანდიდატებს მხოლოდ ორში წარადგენს. როგორ გგონიათ, მოხერხდება ამ და დანარჩენ 6 კანდიდატზე შეთანხმება ოპოზიციაში?

– შეთანხმების პროცესი დაწყებულია. ლაპარაკია ახალ ვარიანტზე (120/30). ეს მოდელი შეთანხმებულია, თუმცა არ ვიცით, საბოლოოდ რას იზამს ხელისუფლება. მას ხალხის „გადაგდება“, მოტყუება და თავისი დაპირების უკან წაღება ჩვევად აქვს.

– დავუშვათ, რომ ეს მოდელი დამტკიცებულია.

– დავუშვათ, რომ ივანიშვილი ამაზე წავიდა. აქ უმნიშვნელოვანესი იქნება პროპორციული 120 ადგილი. ეს არის შესაძლებლობა ბლოკებისა და პარტიებისათვის. ისინი ეცდებიან ამის გამოყენებას. თუ ოპოზიცია ამ ეტაპზე მაჟორიტარების კანდიდატებზე ვერ მოილაპარაკებს, ამაში კატასტროფას ვერ ვხედავ.

– მმართველი პარტიის პოზიციები არც ისეთი ძლიერია?

– დღევანდელი რეალობა და მთავარი ტენდენცია საქართველოს პოლიტიკაში გამოჩნდა საპრეზიდენტო არჩევნების დროს. „ქართულმა ოცნებამ“ მაშინ შედეგები გააყალბა. იმ შედეგითაც კი პირველი ტურის შემდეგ ასეთი სურათი იყო – ოპოზიციის კანდიდატს ჰქონდა 38%. თითქმის მაგდენივე ჰქონდა ხელისუფლების კანდიდატს. მას შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და არა ხელისუფლების სასარგებლოდ.

– ხალხის მდგომარეობას გულისხმობთ?

– რასაკვირველია. იმ არჩევნებიდან მოყოლებული, ივანიშვილის ხელისუფლებამ ბევრი ტყუილი იკადრა, იყო შარშანდელი ივნისის ამბები. ხალხის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ადამიანები გაღატაკდნენ. აქედან გამომდინარე, ოპოზიცია მომავალ არჩევნებზე ან იმავე შედეგს აჩვენებს, ან – უკეთესს. პროპორციულ არჩევნებს ოპოზიცია მოიგებს. ეს იმას ნიშნავს, რომ იგივე მოხდება მაჟორიტარებზეც. ოპოზიციას შეუძლია შეთანხმება მეორე ტურის წინ. მანამდე, მთავარია, მოვილაპარაკოთ, რომ ოპოზიცია ერთმანეთს თავს არ დაესხმება.

– „ქართული ოცნებაც“ არ იჯდება გულხელდაკრეფილი.

– რა უნდა შესთავაზოს ხელისუფლებამ ხალხს?! ადგება და ისევ პირსისხლიან 9 წელიწადსა და წინა ხელისუფლებაზე ილაპარაკებს. ამით ვინ უნდა მიიზიდოს? თუ საპრეზიდენტო არჩევნების დროს მმართველი პარტია ერთ კონკურენტს, ერთ კანდიდატს უტევდა, ამ შემთხვევაში ლამის ყველას წინააღმდეგ დადგება. ოპოზიციური სპექტრი გაიზარდა. „ქართული ოცნება“ მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობაზე ვერ ილაპარაკებს, მოუწევს ლაპარაკი ლელოზე, ლეიბორისტებზე, და ა.შ. ამით მოსახლეობას ვერ დააინტერესებს, პროცენტებს დაიკლებს და სულ მარტო დარჩება.

– სატელიტები ვერ ეყოლება?

– გაფართოებული ოპოზიციური სპექტრის გარდა ვინც იქნება, ის ხმებს წაართმევს მმართველ პარტიას. ისეთი რეალობაა, რომ ოპოზიციური სპექტრი არჩევნებს იგებს. რაც უნდა გააკეთოს, „ქართული ოცნება“ ხმებს კარგავს. თუ გარისკავს და გააყალბებს, მაშინ სრული კატასტროფა ელის. ამ ხელისუფლების დაჩიავება სახეზეა. ხომ ხედავთ, თბილისის მერი რას კადრულობს! ადამიანებს ქუჩაში სცემს.

– კახი კალაძე ირწმუნება, რომ ხელი არავისთვის დაუკარებია, სამოქალაქო აქტივისტმა კი მაისური თვითონ შემოიხია.

– კალაძე სრულ მარაზმატიკად იქცა. ამ ისტორიის მეორე სერია უფრო სასაცილოა – ხალხს პრეზიდენტთან გადაღებული ფოტოებით აშანტაჟებს. მერე რა, თუ ადამიანს პრეზიდენტთან სურათი აქვს გადაღებული? იყო დრო, კალაძე თვითონ სააკაშვილის გვერდით დგა და მასთან ერთად დარბოდა.

– „ქართული ოცნება“ დასავლეთის წარმომადგენლებს არწმუნებს, რომ შეთანხმებულ მოდელს – 120/30 დაამტკიცებს.

– დიახ. დასავლეთი ამ ხელისუფლებას მარტო ამას ხომ არ ედავება! დასავლეთის პრეტენზია იმაშია, რომ ქვეყანაში ყველა სტრუქტურა ერთი პირის მორჩილებაშია – სასამართლო, პროკურატურა და სხვა. კარანტინის დროს ეს ხელისუფლება ფულის შოვნით იყო დაკავებული. გრძელდებოდა ერთი კაცის ახირებით ხეების ტრანსპორტირება და გადარგვა, ასევე ანაკლიის პროექტის ჩაძირვა, ხაინდრავაზე ზრუნვა და სხვა. ვაშინგტონიდან ისიც გაჟღერდა, რომ საქართველოს ხელისუფლება ათეთრებს ფულს და ის გარიგებულია ირანთან და რუსეთთან. დასავლეთმა მშვენივრად იცის, რომ საქართველოს ხელისუფლება დაკავშირებულია რუსეთის კრიმინალურ ბანდასთან. ხელისუფლების მმართველმა ფული სწორედ იმ ბანდასთან ურთიერთობით იშოვა. ამ მილიარდერი კაცის ფული დამოკიდებულია რუსეთის სპეცსამსახურებზე. საქართველოს მოსახლეობაც ბევრ რამეზეა ინფორმირებული. ხალხმა ბევრი სიმწარეც გადაიტანა. ეს ყველაფერი არჩევნებზე გამოჩნდება.

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილთან თანამშრომლობა მიუღებელია“

ნათია ხურცილავა

„ლიბერალისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, ნიკა მელიას განცხადება, რომ თბილისის მხოლოდ ორ მაჟორიტარულ ოლქში იყრიან კენჭს, რამდენად იძლევა იმის საფუძველს, რომ ოპოზიციამ მართლაც მოახერხოს შეთანხმება?

– ეს იყო ადეკვატური განცხადება ნაციონალური მოძრაობის მხრიდან, რაც ნამდვილად შეუწყობს ხელს ოპოზიციის შიგნით კანდიდატურებზე შეთანხმებას. იმედი მაქვს, ეს პროცესი უმტკივნეულოდ ჩაივლის და ბევრად უფრო გაამარტივებს ივანიშვილის დამარცხებას. თბილისის გარდა, ასევე მნიშვნელოვანია, რეგიონების უმრავლეს ოლქებშიც მოხდეს შეთანხმება, რაც კიდევ უფრო გაზრდის ოპოზიციის გამარჯვების შანსს.

– ჩემი ინფორმაციით, სამგორში ნიკა მელია იქნება კანდიდატი. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ და ოპოზიციისთვის რამდენად მისაღები კანდიდატია?

– ნიკა მელიას მიმართ საზოგადოებაში განსაკუთრებული პრეტენზიები არ მსმენია. ეს ადამიანი არ არის მძიმე წარსულთან დაკავშირებული, თუმცა, რა თქმა უნდა, საზოგადოებისთვის მისაღები და ადეკვატური კანდიდატები უნდა იყვნენ წამოყენებული. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. პარტიის გადასაწყვეტია, მაგრამ ერთ-ერთი შეიძლება ნიკა მელია იყოს. მის წარსულთან დაკავშირებით შეკითხვები ნამდვილად არ გვაქვს.

– თქვენ პირადად იქნებით?

– მოლაპარაკებებზეა დამოკიდებული.

– უნდა გამოვლინდეს თუ არა პრემიერობის კანდიდატი და ჩრდილოვანი კაბინეტი?

– უმჯობესია, ახლა ნამდვილად არ იყოს აქცენტი პრემიერსა და ჩრდილოვან კაბინეტზე. გარდა იმისა, რომ ცინიკურია, ამომრჩეველთან მიმართებითაც, არა მგონია, სამართლიანი დამოკიდებულება იყოს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ყველაფერს, საბოლოო ჯამში, ამომრჩეველი განსაზღვრავს. შესაბამისად, მით უმეტეს, პრემიერის საკითხი ამომრჩეველმა უნდა განსაზღვროს. დარწმუნებული ვარ, კოალიციური მთავრობა იქნება, მაგრამ

პრემიერის საკითხს სწორედ ამომრჩეველი გადაწყვეტს. თუ პარტიებს მეტნაკლებად თანაბარი შედეგები გვექნება, შეიძლება, მოლაპარაკების საგანი იყოს, მაგრამ მკვეთრი სხვაობის შემთხვევაში ეს აპრიორი ნიშნავს, რომ მისი კანდიდატი იქნება.

– ოპოზიცია „ქართულ ოცნებას“ შეუქმნის თუ არა კოალიციას, დაეხმარებით მთავრობის ჩამოყალიბებაში? თუ არის ამაზე მსჯელობა?

– არა, ნამდვილად არ ვაპირებთ „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობას. ბიძინა ივანიშვილი იმდენად დიდ დისპროპორციას ქმნის, რომ მასთან ყოველგვარი თანამშრომლობა მიუღებელია. ის ხომ სიმბოლურად ქმნის კოალიციებს, მასთან თანამშრომლობის გამოცდილება ბევრმა პარტიამ იცის, რას ნიშნავს. ის არის რეალურად ერთპიროვნული მმართველი და კოალიციას მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა აქვს. ამიტომ ასეთ თამაშებში მონაწილეობა სრულიად მიუღებელია.

– ამ შემთხვევაში გამორიცხავთ პოლიტიკურ კრიზისს?

– არ გამოვრიცხავ, შეიძლება, დადგეს კრიზისი, თუმცა, ჯობია, კრიზისმა პარლამენტის ზურგზე გადაიაროს, ვიდრე ადამიანების. მე მაინც ვთვლი, რომ ამის ნაკლები შანსია. თეორიულად კრიზისი რომ შეიქმნას და ხელახალი არჩევნები გახდეს საჭირო, ეს ბევრად უკეთესია, ვიდრე კვლავ ივანიშვილი იყოს ერთპიროვნული მმართველი უკვე საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ბევრი მიზეზის გამო. ეს სრულიად მიუღებელი და წარმოუდგენელია. სიმართლე გითხრათ, გამოვრიცხავ, რომ ახალ კოალიციაში რაიმე სახის მონაწილეობა მიიღოს ივანიშვილმა. ივანიშვილი გადავა ოპოზიციაში თავის „ქართულ ოცნებასთან“ ერთად.

კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ ერთი კაცის მმართველობიდან მოდის ყველა ის ტრაგედია, რომლებსაც 30 წელია, ჩვენმა ქვეყანამ თავი ვერა და ვერ დააღწია.

– გამორიცხავთ, პარლამენტში პატარა-პატარა პარტიები რომ შევიდნენ, მათთან მოლაპარაკებით ჩამოაყალიბოს მთავრობა ივანიშვილმა და ეს ოპოზიცია თამაშგარე მდგომარეობაში დარჩეს?

– არ გამოუვა.

– რატომ არ გამოუვა?

– სათავისოდაც კი ძალიან უჭირს ამომრჩევლის მობილიზება, არათუ სხვა წვრილ-წვრილ, თითიდან გამოწოვილ პარტიებს გაამარჯვებინოს. დღეს ეს ფუფუნება ნამდვილად არ აქვს ივანიშვილს. ეს თამაში იმთავითვე განწირულია. ამ ოპოზიციის ძალა მის მრავალფეროვნებაშია. პირველი შემთხვევაა, როდესაც რეალური შანსი გვაქვს, მრავალპარტიული პარლამენტი მივიღოთ. ეს კი ნიშნავს მრავალპარტიულ მმართველობას, იმის სრულიად საწინააღმდეგოს, რაც დღეს გვაქვს.

გიორგი ახვლედიანი ნოდარ მელაძეს სასამართლოში უჩივლებს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ტიკურ, საზოგადოებრივ და მედია თემატიკასთან დაკავშირებით, პირიქით, გაცილებით უფრო აქტიური ვიქნები.

რაც შეეხება საჩივარს, სარჩელი უნდა შევიტანო. პირველ რიგში ვთვლი, რომ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას მივმართო. დიდ იმედებს არ ვამყარებ, მაგრამ, რომ არ მითხრან, რატომ არ მიმართე ქარტიასო, ამიტომ მას მივმართავ განცხადებით. ვთვლი, რომ ეს თემა სასამართლო განხილვის საგანიც უნდა გახდეს. კონსულტაციებს გავდივარ იურისტებთან.

ეს არ არის ერთმნიშვნელოვნად მარტივი თემა, იმიტომ, რომ ჩვენი კანონმდებლობა ბუნდოვანია და ვერ იცავს ვერც საჯარო პირებს და ვერც რიგით ადამიანებს. ისეთი კანონმდებლობა გვაქვს, რომ მე, როგორც დაზარალებულმა, იქით უნდა ვამტკიცო, რომ ვინც ეს ამბავი გამოიგონა, წინასწარი შეცნობით იცოდა, რომ მე ამას მაბრალებდა და დამაბრალა. ეს იოლი საქმე არ არის. უამრავი დაზარალებულია და ამ თემატიკაზე სულ რამდენიმე სასამართლო პროცესი ყოფილა, იმიტომ, რომ იციან, მრავალთვიან პროცესში უნდა ჩაერთონ და დაზარალებულებმა იქით უნდა ამტკიცონ, რომ დამზარალებელმა ეს შეგნებულად გააკეთა.

– მესმის, მაგრამ, თუ ამბობთ, რომ დაგაბრალეს, ხომ პრინციპის საკითხია, რომ დაამტკიცოთ ეს?

– მეც ვთვლი, რომ პრინციპის საკითხია. ამიტომ გავდივარ ამ საქმის სპეციალისტებთან კონსულტაციას და მიმაჩნია, რომ ეს მოჯადოებული წრე რაღაცნაირად უნდა გაირღვეს. პრეცედენტის შექმნის აუცილებლობაა საჭირო, რომ ეს კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს. მე 15 წელი ჟურნალისტი ვიყავი და ძალიან მწვავე დაპირისპირებაში ვიყავი წინა ხელისუფლებასთან, მასთან ერთ-ერთ რადიკალურად დაპირისპირებულ ტელევიზიაში ვმუშაობდი, მაგრამ, ვისთან ერთადაც მე ვმუშაობდი, აზრადაც კი არ მოუვიდოდა ვინმეს, რომ ფაქტი მოეგონებინა და იმ ფაქტზე გაეკეთებინა სკანდალი.

ამათ ყოველ შაბათს აქვთ გადაცემა და რა ქნან? უნდა გამოიგონონ ეს სკანდალი, ისტერიულად შეფუთონ და საზოგადოებას მიაწოდონ, მთავარია, რეიტინგი დაწერონ. ეს ვითარება არ შეიცვლება, სანამ კანონი არ იქნება ისეთი, რომელიც ამის გამკეთებელს პასუხს მოსთხოვს. ამიტომ მინდა სამართლებრივი გზით ომი და კანონი უნდა შეიცვალოს, თორემ სასამართლომ შეიძლება დააკისროს ბოდიშის მოხდა და ვის რაში სჭირდება მაგათი ბოდიში, როცა ამხელა ზარალს მოგაყენებენ.

– ეს, პირიქით, თქვენ წინააღმდეგ ხომ არ იმუშავებს? არ ელოდებით ნარატივს, გიორგი ახვლედიანმა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მიმართულებით დაიწყო მუშაობაო?

– რა თქმა უნდა, ამას ვიღაცა ასე დაარქმევს. ეს მახასიათებელიც აქვს ამ ჩაკეტილ წრეს. ფაქტი არის წმიდათაწმიდა, ხოლო ამ ფაქტის ინტერპრეტაცია ათასნაირი შეიძლება იყოს. ეს არის საერთაშორისო ჟურნალისტიკის გამოთქმა. არაფრით არ შეიძლება ფაქტის დამახინჯება და გამოგონება.

– იმას ამბობთ, რომ ფაქტი არ ჰქონიათ? არ ჰქონიათ დოკუმენტი, სადაც თქვენი სახელი და გვარი ფიგურირებდა?

– კომპიუტერზე აკრიფეს გვარები და სახელები, მათ შორის ჩემი სახელი და გვარი. ამოიღეს და თქვეს, რომ ეს არის ფაქტი.

– რატომ მაინცდამაინც თქვენი სახელი და გვარი? რა მიზანი ჰქონდათ?

– როდესაც ჟურნალისტმა სია მაჩვენა, დავიწყე ფიქრი, რომ ვიღაცა ჩემ წინააღმდეგ შავი პიარის აგორებას არ ცდილობდა. მერე დავიწყე ფიქრი, ვინმემ მართლა ხომ არ დაბეჭდა შიდა მოხმარებისთვის და სხვა გიორგი ახვლედიანი ხომ არ იგულისხმება. „ქართულ ოცნებას“ თავისი გიორგი ახვლედიანი ჰყავს, რომელიც თბილისის საკრებულოს მოადგილეა. მე ეს იმიტომ ვიცი, რომ როდესაც სია გამოქვეყნდა 2017 წელს, ნახევარმა საქართველომ დამირეკა და მეკითხებოდნენ, როგორ მოხვდი „ოცნების“ სიაშიო, ზოგი კი მეკითხებოდა, მანდ რა გინდაო. მერე დავინტერესდი ამ თემით და გავარკვიე, რომ მართლაც არის ვინმე გიორგი ახვლედიანი. მერე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გამხდარა. ეს ვკითხე ჟურნალისტს, ის ხომ არ არისმეთქი და ჟურნალისტმა მითხრა, გავარკვევო, მაგრამ სიუჟეტში იყო, „ოცნების“ ახვლედიანი არ გამოირჩევა განცხადებების კეთებითო და თურმე მე გამოვირჩევი „ოცნების“ სასარგებლო სპიკერობით. სადმე ხომ უნდა მქონდეს „ნაექსპერტალი“. ბოლოში კი იყო ნათქვამი, ზუსტად არ ვიცით, ვინ არის ეს გიორგი ახვლედიანიო, მაგრამ თავში გამოკვეთილად იყო ნათქვამი, თითქოს მე ვიყავი.

– აღნიშნეთ, რომ პოლიტიკურად კიდევ უფრო გააქტიურდებით და ახსენეთ მედიის მიმართულებაც. ჟურნალისტიკაში დაბრუნებას ხომ არ გეგმავთ?

– ჯერჯერობით რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება არ მაქვს მიღებული. მთელი ეს პერიოდი, პოლიტიკაში ყოფნა იქნებოდა თუ ჟურნალისტიკაში, ჟურნალისტებთან ვმუშაობდი. ერთ-ერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ახალგაზრდა ჟურნალისტებს ჩემს გამოცდილებას ვუზიარებდი. ახლა ვფიქრობ, მეტი დრო დავუთმო ამას. დიდი ხანია ვფიქრობ პრაქტიკული ტელეჟურნალისტიკის სკოლის ჩამოყალიბებას. ბევრ ჩემს მეგობართან მაქვს ამაზე საუბარი და ვნახოთ, შეიძლება, ამ მიმართულებასაც დავადგა საშველი, მაგრამ ის, რომ პოლიტიკურ საქმიანობას გამოვეთიშე, სიცრუეა.

– ამ არჩევნებში აღარ მიიღებთ მონაწილეობას?

– ამ ეტაპზე როგორ უნდა მივიღო მონაწილეობა?!

– მაგალითად, მაჟორიტარად დააყენოთ კანდიდატურა.

– არა. მაგას გამოვრიცხავ. მე 15 წელია, მაჟორიტარული სისტემის წინააღმდეგ ვიბრძვი და ახლა, როცა პარტიაში აღარ ვარ, მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატი რომ გავხდე, გამორიცხულია. პარტიაში როდესაც ხარ, გევალება, ეს გააკეთო, რათა ხმები არ დაკარგო, მაგრამ ამ ვითარებაში გამოვრიცხავ ამას.

– „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ბრძოლას გააგრძელებთ?

– ყველა იმ ქმედებასთან დაკავშირებით, რომლებიც მიუღებელი იყო „ოცნების“ საქმიანობაში და რომელსაც ვუპირისპირდებოდი, რა თქმა უნდა, აქტიურად გავაგრძელებ პოზიციონირებას.

რუსთავის მერის მოადგილე გოჩა ლორიას ცემისთვის ბექა თავაძე დააკავეს

უძრავ ქონებაზე დავა რუსთავის მერის მოადგილეზე ფიზიკური ანგარიშსწორებით დასრულდა – გოჩა ლორია, რომელსაც მოქალაქემ სცემა, მედიასთან ისევ არ ჩნდება. უცნობია, რას ფიქრობს საჯარო მოხელე იმ დანაშაულზე, რომლის გამოც პოლიციამ 34 წლის ბექა თავაძე დააკავა.

დაკავებული რუსთავის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. ბექა თავაძეს მისი უფლებადამცველი შეხვდა. დაკავებული დუმილის უფლებას იყენებს.

როგორც ბექა თავაძის ადვოკატი აცხადებს, დაპირისპირება რუსთავის მერიის სამსახურში მიწის ნაკვეთს მოჰყვა, რომლის დარეგისტრირებასაც მისი დაცვის ქვეშ მყოფი უკვე 4 წელია ცდილობს. ადვოკატის თქმით, ბექა თავაძემ 2016 წლიდან როგორც საჯარო რეესტრის, ასევე მერიის სამსახურებსაც მრავალჯერ მიმართა, თუმცა უშედეგოდ.

– როგორც ზოგადად ჩვენთვის ცნობილია, რაღაც დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი მერიის სამსახურში, მიწასთან დაკავშირებით, რომლის დარეგისტრირებაც სურდა ბატონ ბექას.

2016 წლიდან ფაქტობრივად აღნიშნულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით ცდილობს, დაირეგისტრიროს. მიმართა არაერთ სამსახურს, როგორც საჯარო რეესტრის, ასევე მერიის სამსახურებს. აი, ეს პრობლემა ჰქონდა, – აცხადებს მიხეილ მუზაშვილი.

დაკავებულის მამა „კურიერთან“ სატელეფონო საუბრისას ამბობს, რომ საქმესთან დაკავშირებით დეტალებს არ ფლობს და ადვოკატის განმარტებებს ელოდება.

– ადვოკატია შესული და ველოდებით ყველაფერს. არ ვიცი არაფერი, რა მოხდა, როგორ მოხდა. მიწის ნაკვეთის საკითხზე კი იყო მისული, – განაცხადა დაკავებულის მამამ ანზორ თავაძემ.

საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლითაა აღძრული, რაც ძალადობას გულისხმობს.

ბექა თავაძეს ბრალი 6 ივნისს წარედგინა.

ალექსანდრე ივანოვმა ვარკეთილში შვილებს ტყვიები დაუშინა

5 ივნისს ვარკეთილში სამსაათიანი სპეცოპერაცია 45 წლის ალექსანდრე ივანოვის დაკავებით დასრულდა. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ ის პოლიციას ჩაჰბარდა.

საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე სამართალდამცველები 3 საათის განმავლობაში ალექსანდრე ივანოვთან მოლაპარაკებას ცდილობდნენ. მამაკაცმა მანამდე, სანამ პოლიციას ჩაჰბარდებოდა, სავარაუდოდ, ფანჯრიდან იარაღი გადმოაგდო. ეს არის სანადირო თოფი, რომელსაც ადგილზე ექსპერტიზა ჩაუტარდა.

ალექსანდრე ივანოვმა ჩაბარებამდე დედას დაურეკა. როგორც ლალი ივანოვა „კურიერთან“ საუბრისას ამბობს, შვილმა დაურეკა და უთხრა, რომ მის სახლს სამართალდამცველებმა ალყა შემოარტყეს.

– შვილმა დამირეკა თბილისიდან და მითხრა, უნდა მომკლან, მეშინია გარეთ გასვლისო, ჩემს სახლს ალყა შემოარტყა პოლიციამო. მე ვუთხარი, რა მოხდა, რა არისმეთქი. ვიყავი სახლშიო, ერთი გაისროლა თუ ეგონა, რომ ისროდნენ და მაგანაც გაისროლა, ეს არ ვიცი. მეუღლე, ორი შვილი – ერთი გოგო და ბიჭი ჰყავს. ხშირად რაღაც ხდებოდა ოჯახში. მთავარი ის არის, რომ არ მოკლეს და წაიყვანა სასწრაფომ, – ამბობს ლალი ივანოვა.

შეიარაღებულმა პირმა, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რამდენიმეჯერ უმისამართოდ გაისროლა. ამ დროს მასთან ერთად შვილები და მეუღლე იმყოფებოდნენ, რომლებმაც უსაფრთხოდ გამოსვლა შეძლეს. ფაქტის შედეგად არავინ დაშავებულა.

პირველადი სამედიცინო დახმარება დაკავებულს ადგილზევე ჩაუტარდა, რის შემდეგაც ის წინასწარი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს.

დაკავებულზე 2018 წელს მეუღლის მიმართ განხორციელებული სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტზე 1 თვის ვადით შემაკავებელი ორდერი იყო გაცემული.

გორში დააკავეს გ.გ., რომელიც ცოლს მოკვლით ემუქრებოდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გორში 1982 წელს დაბადებული გ.გ. ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი ძალადობისა და მუქარის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა მეუღლეს, 1993 წელს დაბადებულ, დ.ქ.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ასევე, გარკვეული პერიოდის მანძილზე სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ოჯახში ძალადობასა და ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებულ მუქარას გულისხმობს.

კახა კვეკვესკირი კახა კალაძის წინააღმდეგ

კახა კვეკვესკირს კახა კალაძის წინააღმდეგ სარჩელი შეაქვს. ამის შესახებ კვეკვესკირმა 7 ივნისს ფეისბუქში დაწერა:

– ხვალ, 11 საათზე, პროკურატურაში შემაქვს სარჩელი მოძალადე, ხულიგანი და უბრალოდ კრიმინალი ქ.თბილისის მერის წინააღმდეგ, ვინაიდან „ინციდენტზე“ ჯერ კიდევ გამოძიება არ დაწყებულა.

ასევე, ხვალვე აუცილებლად მოძალადე და ხულიგან მერს გადავცემ საჩუქარს მაისურის სახით.

კახა კალაძესა და კახა კვეკვესკირს შორის დაპირისპირება 5 ივნისს ვარკეთილის სკვერში დაიწყო.

თბილისის მერი ვარკეთილში იმყოფებოდა, როდესაც მასთან „ანას ბაღის“ მცველები და სამოქალაქო აქტივისტები მივიდნენ, რასაც დაპირისპირება მოჰყვა.

კახა კვეკვესკირი ამბობს, რომ თბილისის მერმა მას ხელი გაარტყა და ტანსაცმელი შემოახია.

– ეს არის მერი. ძალადობენ, ამას აკეთებს თბილისის მერი, უზრდელი მერი, – თქვა მან.

ინციდენტის შემდეგ კალაძემ განცხადება გააკეთა:

– მოსახლეობას არანაირი კავშირი არ აქვს, ორი თაღლითი ნაციონალი იყო მოსული, რომლებსაც ჰქონდათ მცდელობა, დაეგეგმათ პროვოკაცია, თუმცა ეს არ გამოუვიდათ, – განაცხადა კალაძემ.

თბილისის მერის გარდა, აქციის მონაწილეებს ფიზიკურად დაცვის თანამშრომლებიც გაუსწორდნენ. პროტესტის მონაწილეები ინციდენტის ადგილიდან სამართალდამცავებმა გაიყვანეს.

6 ივნისს კალაძემ მომხდარზე კიდევ ერთხელ გააკეთა განმარტება:

– სავარაუდოდ, მან შემოიხია მაისური, – თქვა მან კახა კვეკვესკირზე.

მერმა ხაზი გაუსვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო თუ ჩათვლის, რომ იქ იყო რაიმე ძალადობრივი ქმედება ან ვინმეს ფიზიკურად გაუსწორდნენ, რა თქმა უნდა, გამოძიება უნდა დაიწყოს, თუმცა მსგავსი ფაქტი არ ყოფილა.

– სავარაუდოდ, მან შემოიხია მაისური, არ გამოუვიდა პროვოკაცია და მინდა, საჩუქრად გადავცე ამ პიროვნებას მაისური, რომელიც გამოადგება. აი, ეს არის მაისური, საკმაოდ საინტერესოა. ორი გვაქვს ასეთი – ერთს „მთავარ არხს“ გადავცემთ და მეორეს – მაგ პიროვნებას, – განაცხადა კახა კალაძემ.

ფეისბუქში უნებართვოდ შეღწევით ა.ბ.-მ 25 მოქალაქეს 27.546 ლარი წაართვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული ა.ბ. თაღლითობისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4 -დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 2019 წლის დეკემბრიდან 2020 წლის მაისამდე პერიოდში უნებართვოდ შეაღწია მოქალაქეების ფეისბუქგვერდებზე, განახორციელა მათ მეგობრებთან მიმოწერა, შეცდომაში შეიყვანა ისინი და საკუთარ ანგარიშზე, მოტყუებით ჩაარიცხვინა სხვადასხვა ოდენობის თანხა, ასევე, მოტყუებით დაეუფლა მათი საბანკო პლასტიკური ბარათების მონაცემებს და ანგარიშებზე არსებული თანხები საკუთარ ანგარიშზე გადაირიცხა.

ა. ბ. დანაშაულებრივი გზით, ჯამში, 25 მოქალაქის კუთვნილ 27.546 ლარს დაეუფლა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 286-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ექსპერტი საიბ გეიდაროვი, რომელსაც გაზის სადგურზე დენმა დაარტყა, გარდაიცვალა

ამაშუკელის ქუჩაზე მდებარე გაზგასამართ სადგურზე დენის დარტყმის შედეგად დაშავებული ექსპერტ-კრიმინალისტი გარდაიცვალა.

ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის თბილისის საექსპერტო სამსახურის ექსპერტ-კრიმინალისტის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით და უსამძიმრებს დაღუპულის ოჯახსა და ახლობლებს. ექსპერტ-კრიმინალისტი თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩაზე მდებარე გაზგასამართ სადგურში, საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, შემთხვევის ადგილის დამატებით დათვალიერებას ახორციელებდა, რა დროსაც, პირველადი ინფორმაციით, მას დენმა დაარტყა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

დაშავებული ექსპერტ-კრიმინალისტი რამდენიმე დღე საავადმყოფოში მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა. ის 39 წლის საიბ გეიდაროვია, რომელიც წარმოშობით მარნეულიდან იყო და თბილისში შსს-ს საექსპერტო კრიმინალისტურ დეპარტამენტში მუშაობდა.

მას შემდეგ, რაც მარნეული საკარანტინო ზონად გამოცხადდა, გეიდაროვმა მუშაობა იქ გააგრძელა. სამართალდამცველი თითქმის 24 საათის განმავლობაში ეხმარებოდა პოლიციელებს და ადგილობრივებზე ზრუნავდა.

მას მეუღლე და ორი შვილი დარჩა.

ბაგებში სროლის ფაქტზე მერაბ ხიდაშელსა და მამუკა გურჩიანს ბრალი წაუყენეს

თბილისში, ჭავჭავაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი სროლის საქმეზე დაკავებულ მერაბ ხიდაშელსა და მამუკა გურჩიანს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში მერაბ ხიდაშელის ადვოკატი დავით კორკოტაშვილი განმარტავს, მისი დაცვის ქვეშ მყოფს ბრალი შეუმსუბუქეს და მას ძალადობას ედავებიან. ადვოკატის თქმითვე, მერაბ ხიდაშელი ბრალს კატეგორიულად არ აღიარებს.

– ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით წაუყენეს, რაც ჯგუფურად ჩადენილ ძალადობას გულისხმობს, ეს მეორე ნაწილთან შედარებით, მსუბუქია. ედავებიან, რომ ძალადობა განახორციელა პირის მიმართ, რომელსაც საერთოდ არ იცნობს, აბსურდული ბრალია, ადამიანი უდანაშაულოა, ამ საქმეში საერთოდ არ აქვს მონაწილეობა მიღებული. საქმის მასალები გადმომეცა და გავეცნობი. ბრალს კატეგორიულად არ აღიარებს, – აცხადებს კორკოტაშვილი.

რაც შეეხება მამუკა გურჩიანს, მისი ადვოკატის, კობა ამბარდნიშვილის განმარტებით, დაკავებული ბრალს აღიარებს, თუმცა აცხადებს, რომ მომხდარი ფაქტი ბიზნესდავას არ უკავშირდება.

– ბრალს აღიარებს, ბიზნესდავა არ ყოფილა, ამ შემთხვევას ბიზნესთან არანაირი კავშირი არ აქვს, ურთიერთშელაპარაკება მოხდა, მანქანის გადაყენება-არგადაყენებას მოჰყვა ეს ყველაფერი, იმან შეაგინა, ამან აღარ დაუთმო და ასეთი რაღაც მოხდა, – აცხადებს ამბარდნიშვილი.

მერაბ ხიდაშელს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით აქვთ წაყენებული, რაც ჯგუფურად ჩადენილ ძალადობას გულისხმობს, მამუკა გურჩიანს კი ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით წარედგინა, რაც ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

7 ივნისს მერაბ ხიდაშელსა და მამუკა გურჩიანს თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

პროცესზე ორივე ბრალდებულის ადვოკატი აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებას ითხოვდა, თუმცა მოსამართლემ არც ერთის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ორივე მათგანს პატიმრობა შეუფარდა.

მერაბ ხიდაშელის ადვოკატმა დავით კორკოტაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, რომ გადაწყვეტილებას 48 საათის განმავლობაში გაასაჩივრებს.

– გირაოს შეფარდებას ვითხოვდით, რადგან ბრალდება იყო დაუსაბუთებელი, მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებები კი – ურთიერთგამომრიცხავი, თუმცა მოსამართლემ ჩათვალა, რომ ამ საკითხებს ვერ ჩაღრმავდებოდა. როგორც მოსამართლემ აღნიშნა, ბრალდებულის მიმალვის საფრთხე არ არსებობს, თუმცა არსებობს მოწმეზე ზეწოლის საფრთხე და ამის გათვალისწინებით ტოვებს პატიმრობაში, – განაცხადა ადვოკატმა.

პოლიციამ ქარელში ოჯახში ძალადობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ქარელის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1940 წელს დაბადებული ა.კ. ოჯახში ძალადობის ბრალდებით ქარელში დააკავეს.

დანაშაული 1-დან 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა ფიზიკურად იძალადა თავის შვილიშვილზე – 2006 წელს დაბადებულ მ.კ.-ზე.

ბავშვმა ძალადობაზე ინფორმაცია მიაწოდა სოციალურ მუშაკს, რომელმაც აღნიშნულის შესახებ პოლიციას შეატყობინა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ ოჯახში ძალადობას გულისხმობს.

ქვემო ბოლნისში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს

სოფელ ქვემო ბოლნისში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ს 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. უწყების ცნობით, საქმეზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

პოლიციამ ყაჩაღობის ბრალდებით თბილისში ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2003 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ს.მ., ყაჩაღობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

შსს-ს ცნობით, დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში 1989 წელს დაბადებულ მოქალაქე გ.მ.-ს ბასრი საგნის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობის მუქარით წაართვა მობილური ტელეფონი. მოქალაქემ პატრულ-ინსპექტორებს დახმარების მიზნით მიმართა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მყისიერი რეაგირება მოახდინეს და ბრალდებული ადგილზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ბასრი საგანი და ყაჩაღობის გზით მოპოვებული მობილური ტელეფონი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბალტიის ზღვაში ნატოს სწავლება დაიწყო

7 ივნისს ბალტიის ზღვაში საერთაშორისო სწავლება ბალტოპსი დაიწყო, რომელშიც ნატოს წევრი 19 ქვეყანა მონაწილეობს – ესტონეთი, კანადა, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, იტალია, ლატვია, ლიეტუვა, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, ესპანეთი, შვედეთი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი და აშშ.

სწავლებაში 3.000 ადამიანი, 29 გემი და ამდენივე ავიასაშუალება მონაწილეობს. სწავლება 16 ივნისამდე გაგრძელდება.

სწავლებაში მონაწილეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის გამო სწავლება მხოლოდ ზღვაში მიმდინარეობს. ასეთი ზომები ქვედანაყოფებს საშუალებას მისცემს, გააფართოონ ოპერატიული სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობა.

ბალტოპსი არის ყოველწლიური საერთაშორისო სწავლება, რომლის გამართვა რეგულარულად 1972 წლიდან იღებს სათავეს. მისი მიზანია მონაწილე ქვეყნების ერთობლივი სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ოპერაციების მოქნილობა ბალტიის ზღვაში.

ზელენსკიმ ავაკოვი დაიცვა

რამდენიმე დღის წინ კიევში გაიმართა აქცია უკრაინის შს მინისტრ არსენ ავაკოვის გადადგომის მოთხოვნით. პარლამენტში დარეგისტრირებულია კანონპროექტი, რომელიც ავაკოვის გადაყენებას ითვალისწინებს. მას მხარი დაუჭირეს როგორც ფრაქცია „გოლოსმა“, აგრეთვე მმართველი პარტიის „ხალხის მსახურის“ ზოგიერთმა წარმომადგენელმაც. სულ ავაკოვის გადაყენებას 66 დეპუტატი მოითხოვს.

უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ ავაკოვი დაიცვა. მან განაცხადა, რომ ავაკოვის გადაყენება არ შეიძლება.

– ბატონი არსენ ავაკოვი ძლიერი მინისტრია! მისი შემცვლელი ამ ეტაპზე არ მეგულება, – თქვა ზელენსკიმ.

ნიუ იორკში კომენდანტის საათი უქმდება

ნიუ იორკის მერ ბილ დე ბლაზიოს განცხადებით, კომენდანტის საათი აღარ გაგრძელდება. ამის შესახებ მერმა ტვიტერის გვერდზე დაწერა.

„ჩვენ ვაუქმებთ კომენდანტის საათს. ეს გადაწყვეტილება ძალაში დაუყოვნებლივ შევა. გუშინ და გასულ ღამით ქალაქის მოსახლეობამ საკუთარი თავი საუკეთესო მხრიდან აჩვენა“, – განაცხადა ნიუ იორკის მერმა.

გარდა ამისა, მისი თქმით, ორშაბათს ქალაქში სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ზომების მოხსნის პირველ ფაზას იწყებს, რომლებიც კორონავირუსის გამო იყო შემოღებული. ის თანამოქალაქეებს მოუწოდებს, იყვნენ ფრთხილად და იზრუნონ ერთმანეთზე.

გასულ ღამეს მეგაპოლისში საპროტესტო დემონსტრაციის დროს 10 ადამიანი დააკავეს.

1 ივნისს დემონსტრაციებისას 700-ზე მეტი ადამიანი დააკავეს, 5 ივნისს – 270, გასულ შაბათს – 40.

კომენდანტის საათი აშშ-ის ორმოცამდე ქალაქში დაწესდა.

აფროამერიკელი ჯორჯ ფლოიდი 25 მაისს საავადმყოფოში გარდაიცვალა, მას შემდეგ, რაც პოლიციამ მისი დაკავებისას უხეში ძალა გამოიყენა. პასუხისგებაში მიეცა 4 პოლიციელი, მათგან ერთი მკვლელობის ბრალდებით გასამართლდება.

ამის შემდეგ ქვეყანაში დემონსტრაციები არ წყდება.

ბაიდენმა პრეზიდენტობაზე წარსადგენად საკმარისი ხმები დააგროვა

აშშ-ის ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა დემოკრატიული პარტიის დელეგატების დიდი ნაწილის მხარდაჭერა მიიღო. პრაიმერიზის შედეგად მიღებული ხმები საკმარისია საიმისოდ, რომ ბაიდენი საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატიული პარტიის კანდიდატი გახდეს. ამრიგად, ის ოფიციალურად იკვეთება, როგორც დონალდ ტრამპის ალტერნატივა.

აშშ-ში მიმდინარე საპროტესტო აქციების ფონზე ტრამპის რეიტინგი დაეცა. თანახმად უკანასკნელი გამოკითხვებისა, ტრამპს მხარს უჭერს 43%, ბაიდენს – 50%.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

პრინც ჰარის ყოფილმა შეყვარებულმა მასთან დაშორების მიზეზი დაასახელა

პრინც ჰარის ყოფილმა შეყვარებულმა, ბრიტანელმა მოდელმა და მოცეკვავე კრესიდა ბონასმა მასთან დაშორების მიზეზზე ისაუბრა.

გოგონას თქმით, პრინცთან ორი წლის ურთიერთობის მანძილზე უზარმაზარ ზეწოლას განიცდიდა. ბონასის თქმით, ის მიხვდა, რომ სამეფო ოჯახში ცხოვრებას ვერ შეძლებდა.

– წარუმატებლობის შიში, იმის შიში, რომ ყველასგან უარყოფილი ვიქნებოდი, იმის შიში, რომ სწორად ვერ გაგიგებდნენ, შიში, რომ ასეთი იდეალური არ აღმოჩნდებოდი, – განმარტა მოდელმა. გარდა ამისა, ის საკუთარი შემოქმედებითი კარიერის გაგრძელებას გეგმავდა.

ბონასმა ასევე გააკრიტიკა დრეს-კოდი მეგან მარკლისა და პრინც ჰარის ქორწილზე.

– არ მიყვარს ეს ქუდები. ისინი მეტისმეტად მძიმეა ადამიანებისთვის, – აღნიშნა გოგონამ.

კრესიდა ბონასი პრინც ჰარის ორი წლის მანძილზე ხვდებოდა, თუმცა 2014 წელს ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. ერთი წლის შემდეგ ბრიტანულ პრესაში გავრცელდა ხმები მათი საიდუმლო ნიშნობის თაობაზე, მაგრამ ის არ დადასტურდა. კრესიდა და ჰარი ერთმანეთს პრინცის ბიძაშვილმა პრინცესა ევგენიამ გააცნო.

კალეიდოსკოპი

კარანტინში მოწყენილი შეყვარებულები მასშტაბური ორგიის მოწყობას აპირებენ



ამერიკის პენსილვანიის შტატის ქალაქ ფილადელფიის მკვიდრი წყვილი ადგილობრივებს დაჰპირდა, რომ ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიის გამო შემოღებული კარანტინის დასრულების შემდეგ მასშტაბურ ორგიას მოაწყობენ.

ელექტრიკოსმა ბობიმ და ექიმ-სექსოლოგმა ალისამ გადაწყვიტეს, მეზობლები გაემხიარულებინათ და ქუჩებში 30 ფურცელი გამოაკრეს, რომელშიც „პოსტკორონავირუსულ ორგიაზე“ მიწვევაზეა საუბარი. განცხადებაში წყვილმა მიუთითა ელექტრონული ფოსტის მისამართი და ყველა მსურველს მოუწოდა, განცხადება შეიტანონ. მიუხედავად სახუმარო ქვეტექსტისა და ცნობილი ფილმების სუპერგმირების სურათებისა, ბევრმა აღნიშნული მიწვევა სერიოზულად მიიღო.

განცხადების ავტორ წყვილს ადრე არასოდეს მიუღია მონაწილეობა ორგიაში, მაგრამ ახლა უკვე თავს ვალდებულად თვლიან, მსგავსი ღონისძიება მოაწყონ.

– ეს ჩვენთვის ახალი გამოცდილება იქნება, მაგრამ მზად ვართ, – განაცხადა 29 ბისექსუალმა ალისამ.

– მე საკუთარ თავს ჰეტეროსექსუალად მივიჩნევ, მაგრამ რამე ახლის გამოცდილების არ მეშინია, – აღიარა 25 წლის ბობიმ.

– შესაძლოა, უცნაურად ჩანდეს ასე სახალხოდ ჯგუფური სექსის რეკლამირება, მაგრამ ჩვენ თავდაპირველად მეზობლების გამხიარულება გვსურდა, – ხაზგასმით აღნიშნა წყვილმა. ისინი გაკვირვებული დარჩნენ, როდესაც საკუთარ სახუმარო განცხადებაზე უამრავი გამოხმაურება მიიღეს. ორგიაში მონაწილეობის სურვილზე სხვა შტატების მცხოვრებლებმაც კი მისწერეს. შედეგად, ალისასა და ბობის ელექტრონულ ფოსტაზე 80-მდე წერილი იქნა მიღებული.

კარანტინის გაუქმების შემდეგ ამერიკელი წყვილი ორგიის მოწყობას საკუთარ ბინაში გეგმავს.

ორი ყვავი არწივს არ შეუშინდა და თავს დაესხა

შვეიცარიის ალპებში არწივი ორი წითელნისკარტა ყვავის თავდასხმის ობიექტად იქცა. თვითმხილველის მიერ გადაღებული კადრები ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა.

მიუხედავად იმისა, რომ არწივი ზომით მრავალჯერ აღემატებოდა ყვავებს, ისინი მას არ ასვენებდნენ და უშიშრად უტევდნენ, სანამ იძულებული არ გახადეს, ტერიტორია დაეტოვებინა და გაფრენილიყო.

ვიდეოს ავტორი ვარაუდობს, რომ წითელნისკარტა ყვავები ასე ცდილობდნენ საკუთარი ბუდის დაცვას.

წითელნისკარტა ალპური ყვავები ევრაზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის მთიან ადგილებში ბინადრობენ და მათი სიგრძე 36-42 სანტიმეტრს შეადგენს, მაშინ როცა, არწივის სხეულის სიგრძე 76-დან 93 სანტიმეტრამდე აღწევს.

ერთგულმა ძაღლმა პატრონი საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა

მალაიზიის შტატ სარავაკში ძაღლმა პატრონი შხამიანი გველისგან საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვა.

ქვეწარმავალმა სახლში შეაღწია, სასადილო ოთახში დაიმალა. სწორედ იქ მიაგნო მას ძაღლმა სახელად ჩიკომ.

– ის მას მანამდე ებრძოდა, სანამ არ მოკლა, – ყვება ძაღლის პატრონი ელის მინგუ. მისი თქმით, მოჩხუბარი ცხოველების გაშველება შეუძლებელი იყო.

მას შემდეგ, რაც გველს გაუსწორდა, ავტომობილისთვის განკუთვნილ ფარდულში გავიდა და იქ დაიღუპა გველის შხამისგან.

– მან ჩვენ გადაგვარჩინა, ჩვენ კი, სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ შევძელით, – დაწერა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე მინგუმ.

ელისაბედ II თვითიზოლაციიდან პონიზე ამხედრებული გამოვიდა

დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II ქვეყანაში კორონავირუსის ინფექციის პანდემიის გამო თვითიზოლაციის რეჟიმის შემოღების შემდეგ პირველად გამოჩნდა საზოგადოების წინაშე.

ელისაბედ II უინძორის სასახლის ტერიტორიაზე პონიზე ამხედრებული დააფიქსირეს. დედოფალი 14 წლის მთის პონიზე, სახელად ბალმორალ ფერნიზე, იყო ამხედრებული.

სტუდენტმა საკუთარ შარვალში ბარტყებიანი ბუდე აღმოაჩინა

ჩინეთის პროვინცია ანხოის კოლეჯის სტუდენტი კორონავირუსის პანდემიის გამო შემოღებული კარანტინის შემდეგ პირველად დაბრუნდა სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში და აივანზე გასაშრობად დატოვებულ საკუთარ შარვალში ჩიტის ბუდე აღმოაჩინა, რომელშიც ბარტყები იყვნენ.

სტუდენტი ხუთი თვის მანძილზე პირველად შევიდა საერთო საცხოვრებლის საკუთარ ოთახში და ჩიტების ჟღურტული მოესმა. ის აივანზე გავიდა და ნახა, რომ მათ ბუდე მის შავი ფერის სპორტულ შარვალში გაეკეთებინათ, რომელიც გასაშრობად თოკზე ჰქონდა დაკიდებული.

ბუდეში ორი ბარტყი იჯდა და კიდევ გამოუჩეკავი კვერცხი. გაკვირვებულმა სტუდენტმა ეს ყოველივე ვიდეოზე გადაიღო.

მისი თქმით, მას შემდეგ, რაც მან ბუდე აღმოაჩინა, დედა-ჩიტი ბარტყებთან აღარ მოფრენილა. მან თავად სცადა მათი პურის ნამცეცებით გამოკვება, მაგრამ საბოლოოდ მათი გადარჩენა ვერ შეძლო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

უცნობი ცხოველი ადამიანზე თავდასხმის შემდეგ მოკლეს

რუმინეთის სოფელ ოანჩაში, ჟუდეც გალაცი, მეცხვარეებმა მოკლეს ცხოველი, რომელიც გიენას გავდა.

უცნობი მტაცებელი, რომელიც თავს ესხმოდა ცხვრებს, ფრინველებს, ძაღლებს, იმ დროს მოკლეს, როდესაც ის ადამიანს დაესხა თავს. ამის შემდეგ მათ ცხოველი ხეზე ჩამოკიდეს და დაწვეს.

თვითმხილველთა თქმით, ცხოველს ჰქონდა ფაფარი, თუმცა ამავე დროს თავზე ბეწვის საფარი საერთოდ არ ჰქონდა.

– ადრე მსგავსი არაფერი მინახავს, – ამტკიცებს ერთ-ერთი მეცხვარე, – თავიდან ვთქვი, რომ ეს ძაღლი იყო, მაგრამ მას კბილების ორი რიგი აღმოაჩნდა.

ჟუდეც გალაცის სპორტული ნადირობისა და თევზაობის ასოციაციის დირექტორი ადრიან ალექსანდრუ მოკლულ ცხოველს გიენად თვლის.

– იმ დასკვნამდე მივედი, რომ ის ადრე, სადღაც მოლდოვაში ბინადრობდა, შემდეგ მდინარე პრუტი გადმოლახა და ამ რაიონში დამკვიდრდა, – განმარტავს ის, – შესაძლოა ვიღაცას არალეგალური ზოოპარკი ჰქონდა და ეს ცხოველი იქიდან გაიქცა.

სხვა აზრისაა ჟუდეც გალაცის სამუზეუმო კომპლექსის ხელმძღვანელი, ბიოლოგი მადალინ სერბანი.

– არა მგონია, რომ ის გიენა იყოს, მათ სულ სხვაგვარი სხეულის აგებულება აქვთ, – განაცხადა სერბანმა, – გიენებს მასიური თავი და კბილების სხვაგვარი განლაგება აქვთ. ეს ცხოველი აშკარად მეტად უცნაურად გამოიყურება. ჩემი აზრით, ის გარეული დიდი ძაღლია, რომელსაც კანის რომელიღაც დაავადება ჰქონდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ნაღვარევის ეკლესიას საფრთხე ემუქრება



პოეტი თინათინ მღვდლიაშვილი სოციალურ ქსელში ავრცელებს ინფორმაციას, რომ სოფელ ნაღვარევის ეკლესიას, სადაც 300-მა არაგველმა კრწანისის ბრძოლის წინ ფიცი დადო, საფრთხე ემუქრება:

– რა ხდება ნაღვარევში?! რა საშიშროება ელის ეკლესიას, სადაც კრწანისის ომის 300 არაგველმა გმირმა ფიცი დადო, რომ შეეწირებოდნენ სამშობლოს? რა ესაქმებათ ჩინელებს ამ სიწმინდესთან?

რა ღვთის რისხვაა ჩვენს თავს?! რა ხდება?!

გთავაზობთ მთისა ყველაშვილის წერილს:

– საქართველოს პატრიოტებო და გულშემატკივრებო, ჩემო ქართველებო, მთიულებო, მოხევეებო და არა მარტო, ახლა ისევ გვიხმობს ჩვენი მიწა დასახმარებლად და შველა სჭირდება იმ ჩვენს სიმდიდრეს, რომელიც წინაპრებმა დაგვიტოვეს... ტაძარს, რომელშიც სამასმა არაგველმა კრწანისის ბრძოლის წინ ფიცი დადო, ჩინელები გვინგრევენ და საცხოვრებელს იშენებენ თავისთვის!

დაგვეხმარეთ, დაგვიდექით გვერდით 11 ივნისს, 12 საათზე, სოფელ ნაღვარევში... გეხვეწებით, ქართველებო, იბრძოლეთ ჩემ და ჩემი მეგობრების გვერდით, მოგვეხმარეთ მთიულებს, ერთად დგომითა და სიყვარულით ვიხსნათ ჩვენი მიწა ჩინელებისგან! გემუდარებით, დაგვეხმარეთ! დაგვეხმარეთ! უკანონოდ გვინგრევენ ტაძრებს!

გავრცელებულ ინფორმაციას დუშეთის მუნიციპალიტეტი ოფიციალური განცხადებით გამოეხმაურა:

– გვსურს, გამოვეხმაუროთ სოფელ ნაღვარევის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე თითქოსდა მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას:

პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ ეკლესიასთან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით დაწყებული უნებართვო მშენებლობა შეჩერდა თავიდანვე სწორედ დუშეთის მუნიციპალიტეტისა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის გაფრთხილების საფუძველზე.

დუშეთის მუნიციპალიტეტს აღნიშნულ ადგილზე რაიმე სახის ობიექტის მშენებლობისთვის არც ერთი კომპანიისთვის ნებართვა არ გაუცია. ამჟამად მიმდინარეობს საკითხის სრული შესწავლა, რის შემდეგაც მიღებული იქნება კანონით გათვალისწინებული ზომები და ინფორმაცია გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება საზოგადოებას.

კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ სოფელ ნაღვარევის ეკლესიასთან მშენებლობა არ წარმოებს და, შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია ეკლესიის დანგრევის საფრთხის შესახებ არ შეესაბამება სიმართლეს. დუშეთის მუნიციპალიტეტი არ დაუშვებს, რომ სოფელ ნაღვარევის ეკლესიას შეექმნას რაიმე საფრთხე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებასაც. მკურნალობაში, თანამედროვე საშუალებების გარდა, ვიყენებ ქარხნულ „ერექტორებს“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს და უტყუარია სარგებლობის დროს. მისი ფასი სიმბოლურია და ღირს 50 ლარი. ტელ: 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

საბურთალო არასრული შემადგენლობით ვარჯიშობს და ლეგიონერებს ელოდება

25 ივნისს საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი განახლდება. ცხადია, ყველა რეგულაცია, რომლებიც პანდემიის გამო იქნა დაწესებული, დაცული უნდა იყოს. ამ მხრივ საფეხბურთო კლუბმა საბურთალომ პირველი ნაბიჯები გადადგა და სადეზინფექციო საშუალებებისა და ბიოენერგეტიკული სასმელების მწარმოებელ კომპანია „ინო-ლაბთან“ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა.

კლუბის პრეზიდენტმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა, აღმასრულებელმა დირექტორმა კახა კაშიამ და „ინო-ლაბის“ დირექტორმა პაპუნა პაპიაშვილმა „ბენდელას“ სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში თანამშრომლობისა და მომავალი გეგმების შესახებ ისაუბრეს.

ტარიელ ხეჩიკაშვილი:

– მოხარული ვარ, რომ პანდემიით გამოწვეული პაუზის შემდეგ პირველად ვხვდებით ერთმანეთს. კოვიდ 19-მა ადამიანების ცხოვრება შეცვალა, აქედან გამომდინარე, დავიწყეთ ზრუნვა ფეხბურთელებისა და კლუბში მომუშავე პერსონალისთვის კიდევ უფრო უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. ხელშეკრულებას კომპანია „ინო-ლაბთან“ ვაფორმებთ. ისინი უზრუნველყოფენ ყველანაირი ჰიგიენური ნორმის დაცვას. ამ რთულ პერიოდში ახალი პარტნიორის შეძენა საკმაოდ რთულია. მოხარული ვარ, რომ ჩვენ ეს შევძელით. კომპანიის ხელმძღვანელობას გვერდში დგომისთვის მინდა, მადლობა ვუთხრა. ეს პროექტი „ინო-ლაბის“ გუნდმა მანამდე დაიწყო, ვიდრე პანდემია მოხდებოდა. ადამიანთა ნაწილი ამ ყველაფერს პესიმისტურად უყურებდა, მაგრამ გამოჩნდა, რომ სწორი ნაბიჯი გადადგეს.

– მალე ეროვნული ჩემპიონატი განახლდება. როგორ ხვდებით 25 ივნისს?

– ფეხბურთის ფედერაცია ძალიან ბევრს მუშაობს, რომ ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთი განახლდეს. მადლობა მათ ამისთვის. დიდი მოლოდინი გვაქვს. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ პირველივე შეხვედრა თბილისის დინამოსთან გვაქვს. ვეცდებით, ზოგადად ღირსეულად ვიასპარეზოთ როგორც შინაურ პირველობაზე, ასევე ევროტურნირებზე. ჩვენი გეგმები არ იცვლება, მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ. ვფიქრობ, ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ვართ. უეფა მესამე ევროპულ ტურნირს ამატებს და იქ თამაში ქართული გუნდებისთვის ძალიან საინტერესო იქნება.

– ამ პირობებში რთულია, თუმცა, ხომ არ მუშაობთ ახალი ლეგიონერების ჩამოყვანაზე?

– პანდემიამ, ფაქტობრივად, ყველაფერი შეცვალა. ამჟამად ახალი ლეგიონერის ჩამოყვანის საკითხი გართულებულია, ამავდროულად, თავისებურ რისკებსაც შეიცავს. სავარაუდოდ, 10 აგვისტოს სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება, მაგრამ მანამდე მოლაპარაკების დაწყება აუცილებელია. ერთია, კორონავირუსის გამო უცხოელი ფეხბურთელების ჩამოყვანისთვის დიდი პროცედურებია გასავლელი, რაც ტრანსფერებს ხელს უშლის. შესაძლოა, ფეხბურთელთან კონტრაქტი შეათანხმო, მაგრამ, როცა თბილისში ჩამოვა, ევროტურნირები დასრულებული იყოს.

– ნიკოლოზ მალის, გიორგი კოხრეიძისა და ლუკა ლაკვეხელიანის მიმართ ხომ არა აქვთ უცხოურ კლუბებს ინტერესი?

– ამ ფეხბურთელების მიმართ ინტერესი არის, მაგრამ, გავიმეორებ და ვიტყვი, რომ ამ პანდემიამ ბევრი რამ შეცვალა. დაინტერესებულ კლუბებს ტრანსფერებისთვის გამოყოფილი ფინანსები, ფაქტობრივად, აღარ აქვთ. ცხადია, ეს ტრანსფერის განხორციელებას ხელს უშლის. კორონავირუსის გამო ევროპულ კლუბებს მძიმე დრო დაუდგათ და ამ ეტაპზე კონკრეტული წინადადება არ მიგვიღია, მაგრამ, ვადასტურებ, რომ ინტერესი დიდია. აქედან გამომდინარე, ცოტა დაცდა მოგვიწევს, თუმცა ნიჭიერი ფეხბურთელებისთვის ევროპაში გზა ყოველთვის გახსნილი იქნება.

კახა კაშია:

– ფეხბურთელების დამატების მხრივ გვაქვს სიახლე – უკვე ჩვენი კლუბის ფეხბურთელია ლევან ნონიკაშვილი, რომელიც, ვფიქრობ, ეროვნულ ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ლევანმა უკვე ივარჯიშა საბურთალოში. გვჯერა, დაგვეხმარება წარმატებების მიღწევაში. რაც შეეხება წამსვლელებს, შესაძლოა, გუნდი ერთმა უცხოელმა და ერთმა ქართველმა ფეხბურთელმა დაგვტოვოს.

– ლევან ყენია გუნდთან ერთად არ ვარჯიშობს. რა ხდება მასთან დაკავშირებით?

– ლევანი ოჯახთან ერთად გერმანიაში ცხოვრობს. პანდემიის დროს ევროპაში გაემგზავრა და იქ იმყოფება. მწვრთნელებს აქვთ კონტაქტი. გვინდა, რომ ჩამოვიდეს. მას ჯერ კიდევ აკავშირებს კლუბთან ხელშეკრულება.

– ლეგიონერებს, რომლებიც კლუბში ირიცხებიან, როდისთვის ელოდებით?

– ჟარდელი და ელვინ ტერა პანდემიის დროს თბილისში იყვნენ. ვმუშაობთ ლუმუსა და ბელიაევის ჩამოყვანაზე. როგორც ვიცით, 1-ლი ივლისიდან ოფიციალურად იხსნება საჰაერო მიმოსვლა, თუმცა დახმარებისთვის წერილობით მივმართეთ შესაბამის უწყებებს. თუ მანამდე შემოგვიერთდებიან, ძალიან კარგი იქნება. ბევრ მენეჯერთან გვაქვს კონტაქტი. ისინი ამ ეტაპზე ტრანსფერებზე ვეღარ ფიქრობენ. ბევრ ევროპულ კლუბს გაუჭირდა – იცით, რომ ევროპაში გუნდების დიდ ნაწილს შემოსავალი ტრანსლაციებიდან, ბილეთების გაყიდვიდან და ტრანსფერებიდან აქვს. ეს ყველაფერი კი ამ დროისთვის გაჩერებულია.

– თუ არის ცნობილი, კოვიდ 19-თან დაკავშირებით როდის გაივლის გუნდი ტესტირებას?

– საბურთალოს ფეხბურთელებმა პირველი ტესტირება უკვე გაიარეს, მეორედ კი 2 კვირის შემდეგ განმეორებით ტესტს ჩაიტარებენ. ვისარგებლებ შემთხვევით და ფეხბურთის ფედერაციას გვერდში დგომისთვის მადლობას გადავუხდი.

პაპუნა პაპიაშვილი:

– დიდი მადლობა ასეთი აღიარებისა და კომპლიმენტისთვის. ჩვენთვის დიდი პატივია ისეთ წარმატებულ კლუბთან თანამშრომლობა, როგორიც საბურთალოა. კლუბი ძალიან სწრაფი ნაბიჯებით მიიწევს წინ და ყოველწლიურად ვითარდება. მჯერა, ჩვენი თანამშრომლობა ნაყოფიერი და წარმატებული იქნება.

გიორგი მერებაშვილი: „სტადიონზე არ გავზრდილვართ“

საქართველოს ნაკრებისა და პოლონური პლოცკის შემტევი გიორგი მერებაშვილი იქაურ მედიას რამდენიმე საინტერესო თემაზე ესაუბრა. ქართველმა ფეხბურთელმა ბავშვობა გაიხსენა, როცა ომის შემდეგ ბავშვები ფეხბურთს ქუჩაში თამაშობდნენ, მისი იდეალი კი გიორგი ქინქლაძე იყო.

გიორგი მერებაშვილი:

– ვინ არის საუკეთესო ფეხბურთელი? აქ ახალ ამერიკას ვერ აღმოვაჩენ – ლეო მესი იდეალური მოთამაშეა. ალბათ, ბევრი ფეხბურთელი მასზე ბევრს ვარჯიშობს, თუმცა მესი უდიდესი ტალანტია, რომელსაც საოცარი ტექნიკური შესაძლებლობები აქვს. მას ბურთით ყველაფერი გამოსდის.

ბავშვობაში ჩემი იდეალი გიორგი ქინქლაძე იყო, რომელიც მანჩესტერ სიტისა და ამსტერდამის აიაქსში თამაშობდა. „ქინქი“ მესის სტილში თამაშობდა, ცაცია იყო და შესანიშნავი დრიბლინგით გამოირჩეოდა. მის მიერ საუთჰემპტონის კარში გატანილი გოლი მესის 2007 წელს ხეტაფესთან შეგდებულ გოლს ჰგავს. ორივე გოლისას შესანიშნავი დრიბლინგი განვითარდა. ქინქლაძე ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესოა.

1991 წლის სამოქალაქო ომმა საქართველო გაანადგურა. ეს ჩემი ქვეყნისა და ქართული ფეხბურთისთვის საუკეთესო დრო არ იყო. საფეხბურთო მოედნები თუ სპორტული ცენტრები არ არსებობდა. ჩვენ ქუჩაში ვთამაშობდით, მაგრამ ეს არავის გვაწუხებდა, ბავშვები ვიყავით, ბურთი და ვარჯიში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. იმ პერიოდიდან ბევრი ფეხბურთელი გახდა, ახლა საქართველოს ჩემპიონატსა თუ ეროვნულ ნაკრებში თამაშობენ.

ბავშვობიდან ვისწავლე, რომ ცხოვრება ბრძოლაა და ადვილად არაფერი მოდის. თუ რამის მიღწევა გსურს, უნდა იბრძოლო. მამამ მასწავლა, რომ არასდროს დავნებებულიყავი და ბრძოლა გამეგრძელებინა. მამა მოჭიდავე იყო და კარგად ესმოდა, კვებას, ვარჯიშსა და ძილს რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მას სურდა, მის გზას გავყოლოდი, თუმცა ჩემი მიზანი მხოლოდ ფეხბურთელობა იყო.

ჯოკოვიჩს ვაქცინა და რეგულაციები არ მოსწონს

ამერიკის ღია პირველობის ჩატარება უკვე გადაწყვეტილი საკითხია. ერთია, ორგანიზატორებს საკუთარი პირობები აქვთ, რაც მაინცდამაინც არ ხიბლავს მსოფლიოს პირველ ჩოგანს, სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩს და ამბობს, რომ ასეთი რამ შეუძლებელია.

ნოვაკ ჯოკოვიჩი:

– ხელმძღვანელობასთან სატელეფონო საუბარი მქონდა. სეზონის გაგრძელებაზე ვისაუბრეთ, ასევე – აშშ-ის ღია პირველობაზე. ის პირობები, რომლებსაც გვთავაზობენ, მართლაც რადიკალურია. როგორც ამბობენ, აეროპორტთან ახლოს მდებარე სასტუმროებში ცხოვრება და კვირაში 2-3-ჯერ კორონავირუსზე ტესტის ჩატარება მოგვიწევს. საჩოგბურთო კომპლექსის ტერიტორიაზე მხოლოდ 1 თანმხლების ყოლა შეიძლება, რაც შეუძლებელია. ჩვენთან ერთად უნდა იყვნენ მწვრთნელები და ფიზიოთერაპევტები. ვფიქრობ, არსებული შემოთავაზება საკმაოდ ხისტია. თუმცა ამ ზომების გაგება შემიძლია, რადგან ეს აუცილებლობაა. არსებობს ფინანსური მხარე, კონტრაქტები, რომელთა გავლენით ორგანიზაციები ტურნირების ჩატარებას ითხოვენ. ჯერ ადრეა და აგვისტომდე დიდი დროა, ვნახოთ, რა გამოვა.

გეტყვით იმასაც, რომ რამდენიმე კვირის წინ ჯოკოვიჩმა საყოველთაო ვაქცინაციის გამოყენებაზე საჯაროდ უარი განაცხადა:

– პირადად მე ვაქცინაციის წინააღმდეგი ვარ და არ ვაპირებ, აცრა გავიკეთო, რათა მოგზაურობის საშუალება მომეცეს, თუმცა, თუკი ეს სავალდებულო გახდა, მაშინ რა მოხდება? რაღაც გადაწყვეტილების მიღება მომიწევს. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრება მაქვს და, შეიცვლება თუ არა ის, ნამდვილად არ ვიცი. მეორე მხრივ, ვაქცინა ჯერ არ არსებობს და საკითხი კვლავ ღიაა.

შედეგები

6 ივნისი

ფეხბურთი

გეიმანია. ბუნდესლიგა

აინტრახტი-მაინცი	0:2
ლევერკუზენი-ბაიერნი	2:4
ლაიფციგი-პადერბორნი	1:1
ფორტუნა-ჰოფენჰაიმი	2:2
დორტმუნდი-ჰერტა	1:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	30	22	4	4	90-30	70
2.დორტმუნდი	30	19	6	5	81-35	63
3.ლაიფციგი	30	16	11	3	75-32	59
4.ლევერკუზენი	30	17	5	8	56-38	56
5.გლადბახი	30	17	5	8	57-36	56
6.ჰოფენჰაიმი	30	12	7	11	42-50	43
7.ვოლფსბურგი	29	11	9	9	41-36	42
8.ფრაიბურგი	30	11	8	11	39-41	41
9.ჰერტა	30	10	8	12	43-51	38
10.შალკე	29	9	10	10	34-46	37
11.აინტრახტი	30	10	5	15	49-55	35
12.კიოლნი	29	10	4	15	46-56	34
13.აუგსბურგი	29	8	7	14	40-56	31
14.უნიონი	29	9	4	16	34-52	31
15.მაინცი	30	9	4	17	39-62	31
16.ფორტუნა	30	6	10	14	33-60	28
17.ვერდერი	29	6	7	16	30-62	25
18.პადერბორნი	30	4	8	18	33-62	20

გეიმანია. მე-2 ბუნდესლიგა

არმინია-ნიურნბერგი	1:1
ვისბადენი-დინამო	2:3
რეგენსბურგი-დარმშტადი	3:0

ჰოჰენაღლია. ჰაიმეირა ლიგა

ბოავიშტა-მორეირენშე	0:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ადმირა-მატერსბურგი	0:2
ალტახი-ტიროლი	1:1
სტ.პოლენი-აუსტრია	1:1

საბეჭდნეთი. სუპერლიგა

არისი-ოფი	3:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

ზლინი-პრუბრჟამი	1:0
ლიბერეცი-ბოლესლავი	2:2
ბოჰემიანსი 1905-სპარტა	0:1

ჰოლონეთი. ექსტრაღლასა

იაგელონია-პლოცკი	2:2
ზაგლებიე-ლეხი	3:3
პოგონი-კრაკოვია	1:0

უკრაინა. პრემიერლიგა

ზორია-კოლოსი	1:0
შახტარი-დესნა	3:2

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ალპინისტთა მეგზური ჰიმალაებში; 2. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 3. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 4. ჭადრაკის ფიგურა; 5. ძლიერი, ცივი ქარი ზღვის სანაპიროზე; 6. ორცოლიანობა, ორქმრიანობა; 9. მონასტერი რაჭაში; 10. სათავგადასავლო ფილმის, თრილერის, ბოევიკის მთავარი გმირი; 11. ადამიანის, ცხოველის თანდაყოლილი, მაგრამ არაცნობიერი მოქმედება; 14. დავით აღმაშენებლის ქალიშვილი, ბიზანტიის დედოფალი; 16. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 18. პოლონეთის ძველი დედაქალაქი; 20. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 23. გემის მზარეული; 24. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 25. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 26. ლუდის დანალექი, გამონახარში.

თარაზულად: 7. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 8. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 12. ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 13. ხორცპროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 15. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 17. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 19. ბედიღბლიანობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 21. ცხოველთა სამყარო; 22. ქიმიური ელემენტი, აირი; 27. კინოკომედია „ქვევრის“ კინორეჟისორი; 28. ოთარ იოსელიანის მხატვრული ფილმი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პიგმალიონი; 2. კოზაკი; 3. გრდემლი; 4. ბრიჯი; 5. სიტროენი; 6. ტუსკი; 7. ლიმპოპო; 9. ბეტისი; 13. გაყრა; 17. მახა; 18. კია.

თარაზულად: 1. პარსეკი; 3. გალები; 8. სინუსი; 10. ჰარიერი; 11. ტარტუ; 12. ნიამორი; 14. ფიესტა; 15. ამირანი; 16. ნამყო; 19. პირელი; 20. ჯინჯილა; 21. ყაბახი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. რაგბი; 2. გრაფი; 3. ჰუდზონი; 4. კანა; 5. დუყი; 6. ინგლისი; 9. პიქტოგრაფია; 10. ესპანიოლი; 11. ზაპოროჟიე; 14. ბაფტა; 16. ლხასა; 18. ნეფრიტი; 20. მიტინგი; 23. სოდა; 24. ფურია; 25. ჰეიგი; 26. ყანა.

თარაზულად: 7. ბუმერანგი; 8. ჭაბუკიანი; 12. ჩორსუ; 13. ბაქია; 15. ლიტვა; 17. ფონოგრამა; 19. ფშავი; 21. იფქლი; 22. აიეტი; 27. სტივიდორი; 28. ლიმნოლოგი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9562

ევრო — 3.3476

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7328

100 რუსული რუბლი — 4.2963

ამინდის პროგნოზი 8 ივნისისათვის

რაჰიმ სტერლინგი: „რასიზმს ერთად უნდა ვებრძოლოთ“

მანჩესტერ სიტის ნახევარმცველმა რაჰიმ სტერლინგმა რასიზმზე ისაუბრა და თქვა, რომ ის მსოფლიოს ყველა ნაწილში არსებობს.

სტერლინგის თქმით, ეს პრობლემა მუდმივად იქნება, თუმცა მასთან ბრძოლა შესაძლებელია:

– ვფიქრობ, რომ რასიზმი ყოველთვის იარსებებს, რადგან ყოველთვის იქნებიან იდიოტები, რომლებიც შეეცდებიან ადამიანების დისკრიმინაციას, მაგრამ ჩვენ ამას ერთად უნდა ვებრძოლოთ. თუ გავერთიანდებით, მაშინ, შეიძლება, რამე გამოვიდეს. ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ პრობლემები არსებობს.

იგუაინი ჭრავმის გამო რამდენიმე კვირას გამოტოვებს

იუვენტუსის არგენტინელმა ფორვარდმა გონსალო იგუაინმა ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და რამდენიმე კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გამოსვლას. ზუსტი ციფრი ცნობილი არ არის. იგუაინი ასევე არცთუ კარგ ფორმაშია, რაც ყველამ შეამჩნია, ვინც იუვენტუსის ვარჯიშები ნახა.

იგუაინი არგენტინიდან მხოლოდ ერთი კვირის წინ დაბრუნდა. იქ ის ავადმყოფი დედის გამო იმყოფებოდა. მის არგენტინაში გამგზავრებას სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია.

ჯეიმი კარაგერი: „სიტი ჩემპიონთა ლიგის ფავორიტია“

ლივერპულის ყოფილმა ფეხბურთელმა და საფეხბურთო ექსპერტმა ჯეიმი კარაგერმა განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგის მთავარი ფავორიტი მანჩესტერ სიტია, რადგან ის ყველაზე სტაბილურად გამოიყურება.

კარაგერის აზრით, ბარსელონა ისეთი ძლიერი აღარ არის, როგორიც ადრე:

– ლივერპული გავარდა, ხოლო ბარსელონა ბოლო წლებში ლიგაში აშკარად დასუსტებულია, რაც ნიშნავს იმას, რომ მანჩესტერ სიტი ლიგის ფავორიტია, თუ ის რეალის ბარიერს დაძლევს.

რაკიტიჩი ბარსელონიდან წასვლას უარყოფს

ბარსელონის ხორვატმა ნახევარმცველმა ივან რაკიტიჩმა განაცხადა, რომ ის ბარსელონიდან წასვლას არ აპირებს და არ იცის, საიდან ვრცელდება ასეთი ინფორმაცია.

რაკიტიჩის თქმით, მას ბარსელონასთან კონტრაქტი აქვს და ამ კონტრაქტის ამოწურვამდე არსად მიდის:

– ბარსელონაში დარჩენა მინდა და, სანამ კონტრაქტი მაქვს, ამ გუნდისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ბარსელონაში ბედნიერი ვარ, თუმცა მინდა, რომ მეტი სათამაშო დრო მქონდეს და ამისთვის ვიბრძოლებ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

8 ივნისისათვის

ვერძი – ნაყოფიერ მუშაობაში ხელს შურიანები და არაკეთილმოსურნეები შეგიშლიან. ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა. **კურო** – გეგმები გულმოდგინედ შეიმუშავეთ. სანამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით. **ტყუპები** – კომერციული ოპერაციებისათვის კეთილისმყოფელი დღეა. კოლექტიური მუშაობა შემოსავლის გაზრდის გარანტიაა. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი არეალის გაფართოებაზე ნუ იფიქრებთ. პირად ცხოვრებაზე იზრუნეთ. **ლომი** – ნებისმიერ ერთობლივ პროექტზე მუშაობისას ყურადღებით იყავით. დიდია მოტყუების ალბათობა. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – საქმიან პარტნიორთან კონფლიქტია მოსალოდნელი. გაღიზიანებული ხართ. ნუ იჯიუტებთ. **სასწორი** – დღის პირველ ნახევარში ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. იყავით გულწრფელი და კეთილგანწყობილი. პოზიტივი გადამდებია. **ღრიანკალი** – სიტუაცია თქვენთვის სასარგებლო მიმართულებას მიიღებს. დაწყებული საქმე დაამთავრეთ. **მშვილდოსანი** – ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობისას წინდახედულობა გმართებთ. მეგობრის რჩევა ძალზე წაგადგებათ. **თხის რქა** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას უფრო მოქნილი და შორსმჭვრეტელი უნდა იყოთ. დღეს დაშვებული შეცდომა თქვენს სამომავლო გეგმებზეც აისახება. **მერწყული** – ერიდეთ აგრესიულ გარემოს. მოულოდნელი ინფორმაცია მოვლენებს დააჩქარებს. **თევზები** – სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. დაწყებული საქმის დამთავრება გაგიჭირდებათ, თუმცა სასურველ მიზანს მაინც მიაღწევთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

12 წლის თანაცხოვრების შემდეგ ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, შენი აზრით, ცხოვრებაში გამარჯვებული ხარ თუ დამარცხებული?

– დაზარალებული!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– შენ და შენი ქმარი სექსის დროს თუ ლაპარაკობთ?

– თუ დარეკავს, რა თქმა უნდა.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ამასწინათ ისეთი მაგარი ელარჯი ვჭამე, რომ ორი დღე ტუალეტში მაკრატლით დავდიოდი.

●●●

გამთენიისას სახლში დაბრუნებულ ქმარს აღშფოთებული ცოლი ეუბნება:

– სიტყვები არ მყოფნის...

– მადლობა ღმერთს!

●●●

სტუმარი მასპინძელს ეკითხება:

– თქვენ ქიმიკოსი ბრძანდებით?

– არა, ეს ჩემი ცოლის პარფიუმერიაა.

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– მოდი, ვჭამოთ.

– რა, ახლა, ღამის სამ საათზე?

– მე რა, დრო გკითხე?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სერგო ფარაჯანოვის მეუღლე გარდაიცვალა

ცნობილი რეჟისორის სერგო ფარაჯანოვის მეუღლე სვეტლანა შერბატიუკი 83 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა და მკურნალობას კიევის საავადყოფოში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ გადიოდა. სამწუხაროდ, მედიკოსებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

სვეტლანა შერბატიუკის გარდაცვალებასთან დაკავშირებული სამწუხარო ინფორმაცია სერგო ფარაჯანოვის მუზეუმის ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა.

ნინო სურგულაძეს ტყუპები შეეძინა

ოპერის მომღერალ ნინო სურგულაძეს ქალ-ვაჟი ეყოლა. პატარები საკეისრო კვეთით დაიბადნენ. დედა და შვილები თავს კარგად გრძნობენ.

ნინო სურგულაძის მეუღლე იურისტი გიორგი ინწკირველია. ახალბედა მშობლებმა პატარებს ნატალია და ზაქარია დაარქვეს.

ნინო სურგულაძე:

– სიტყვები, განცდები, გრძნობები – მგონი, ვერაფერი გამოხატავს იმას, რაც ახლა ჩემს ცხოვრებაში ხდება. ბედნიერებაზე მეტია ეს ორი საოცრება, დღეს რომ მოევლინა სამყაროს ჩემგან და ჩემთვის, ჩვენთვის...

ყველა დედისთვის ნაცნობია ის შეგრძნება, ახლა რაც მაქვს, მაგრამ მაინც მარტო ჩემი და ძალიან განსხვავებული, ასე მგონია, ამ წუთამდე, ნატალიასა და ზაქარიას დაბადებამდე არაფერი ყოფილა თურმე მსგავსი ემოციის მომტანიც კი, არ განმიცდია, არ გამხარებია ასე სრულყოფილად, ასე სრულად. ახლა ვარ ის, ვინც უნდა ვყოფილიყავი, დედა, რომელიც ამ უსასრულო ძალითა და ბედნიერებით უფრო მეტს შეძლებს პროფესიაშიც, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც, ყველგან, სადაც მოინდომებს, იმიტომ, რომ დედა ვარ... ახლა, როგორც არასდროს, ისე ძალიან მინდა, ყველა ქალს მიეცეს ეს ძალა, ყველა ქალმა იგრძნოს მისი ახალდაბადებული შვილის სურნელი, პატარა თითების სითბო, რომელსაც ვერასოდეს ვერაფერი შეცვლის.

დიდი მადლობა ყველას, ვინც მთელი ეს პერიოდი ჩვენთან ერთად და ჩვენი გულშემატკივარი იყო, ვისაც სიხარული მოუტანა ნატალიასა და ზაქარიას დაბადებამ, ვინც მოგვილოცა და მოგვილოცავს, განსაკუთრებული მადლობა გინეკოლოგს, ბატონ ნოდარ ზალდასტანიშვილს.

მადლობა თქვენი სიყვარულისთვის, რომელიც უფრო მეტ ძალას მომცემს, ჩემს პატარებს ყველას და ყველაფრის სიყვარული ვასწავლო, რადგან ამ გრძნობით შეუძლებელიც კი შესაძლებელია. მადლობა თითოეულ თქვენგანს ყველაფრისთვის, მჯერა, ყველა ჩვენგანის შვილები აუცილებლად იცხოვრებენ ბედნიერ, ღამაზ და სრულყოფილ სამყაროში და ძლიერ საქართველოში.

სოფო ნიჟარაძე გოგონას დედა გახდა

მომღერალი სოფო ნიჟარაძე გოგონას დედა გახდა. ინფორმაცია ინტერნეტში გავრცელდა და მაშინვე დიდი ინტერესი გამოიწვია.

საზოგადოების უმრავლესობა ბავშვის მამის ვინაობით არის დაინტერესებული. საბედნიეროდ, არიან ისეთებიც, ვისაც ბავშვის მამა საერთოდ არ აინტერესებს და სოფოსა და მის პატარას ბედნიერებას უსურვებენ.

ქეთა თოფურია რუსეთის მოქალაქეებს რეფერენდუმში მონაწილეობისკენ მოუწოდებს

ჯგუფ „ა სტუდიოს“ ქართველი სოლისტი ქეთა თოფურია რუსეთის მოქალაქეებს მოუწოდებს, აუცილებლად მიიღონ მონაწილეობა კონსტიტუციაში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებულ ხმის მიცემაში.

მიმართვა მომღერალმა სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– 25 ივნისიდან 1 ივლისამდე ყველას ექნება შესაძლებლობა, ხმა მისცეს კონსტიტუციაში დაგეგმილ ცვლილებებს. გულწრფელად რომ ვთქვა, აქამდე არასდროს წავსულვარ ხმის მისაცემად, ახლა კი გადავწყვიტე, გამოვსწორდე.

კონსტიტუცია მოიცავს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს. არ თქვათ უარი ხმის მიცემაზე თქვენი პოლიტიკურობის მოტივით. ეს არ არის პოლიტიკა, ეს ცხოვრებაა.

დიდგორის მემორიალი ავტოდრომად გადააქცევს

არქეოლოგი გოდერძი ნარიმანაშვილი დიდგორის მემორიალის ავტოდრომად გადაქცევას უმსგავსობას უწოდებს:

– დიდგორის მემორიალის ნაჭრილობევი. ქართველთა „ვაჟკაცობის“ კვალი. ადრეც შეიმჩნეოდა ასეთი უმსგავსობა. ორიოდე წლის წინ, გზის ახალი საფარის დაგების დროს, სანიაღვრე თხრილი გაიჭრა და ავტომანქანით გადასვლა შეუძლებელი იყო. წელს ვიღაცეებმა ის ამოავსეს და მემორიალი ავტოდრომად აქციეს...

...ისიც შევნიშნე, რომ გზის მაჩვენებელი არწივების ნაკლებობაცაა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ძველებური ასტროლოგიური წიგნი; 2. პერუში მცხოვრები უძველესი ცივილიზაციის მქონე ინდიელთა ტომი; 3. ყურანის მიხედვით მუსლიმთა სამოთხეში მცხოვრები მარადნორჩი ლამაზი ქალები; 4. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 5. ბიჭვინთის ძველბერძნული სახელწოდება; 6. ყველაზე დიდი მდინარე ავსტრალიაში; 7. ისტორიული მოედანი პარიზში; 9. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 13. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 17. პეპლების საჭერი ბადიანი მოწყობილობა; 18. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდის რაიონში.

თარაზულად: 1. საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული; 3. ისტორიული სამთავრო აღმოსავლეთ საქართველოში; 8. მდინარე ყვირილას მარცხენა შენაკადი; 10. მომთაბარე არაბი; 11. იორდანიის დედაქალაქი; 12. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 14. სამურაების მეთაური; 15. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 16. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად; 19. ფარმაცევტული ფირმა საქართველოში; 20. ოთხსიმიანი, ხემიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 21. ესტონეთის დედაქალაქი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა